# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი. 2023 წ. №133 (9665) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




სააკაშვილი ხაზარაძეს ხან მონასტერში წასვლას ურჩევდა, ხან ზვიგენების ლუკმად გახდომას უწინასწარმეტყველებდა, დღეს კი ხაზარაძის კონცეფციას აიდეალებს



იხ. 4 გვ.

## მამუკა ხაზარაძე ყოველთვის იყო სააკაშვილის, ამ მთავარი ბანდიტის, მორჩილი!

## ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკა ვატიკანში



იხ. 7 გვ.

ვატიკანში ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკა განთავსდა. ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკის ინაუგურაციის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა, ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს წარმომადგენლებმა და ასევე საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის წევრებმა.

ფრესკაზე, რომელიც ძვირფასი თვლებით არის მორთული, არქიტექტორები ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდნენ. მოზაიკურ პანოზე ივერიის ღვთისმშობლის გამოსახვის გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრმა, რომელსაც თავად პატრიარქი ხელმძღვანელობს. ფრესკის ავტორია ცნობილი ქართველი ფერმწერი, მოზაიკოსი ამირან ბაკურაძე. ვატიკანში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ისტორიულ სასახლეში, პალაცო დელა კანცელარიაში გაიმართა საზეიმო მიღება, რომელიც ვატიკანში ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკის აღმართვას მიეძღვნა.

# ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა!

## დაიმახსოვრეთ ეს ციფრები და ალივსეთ იმედით!



ირაკლი ღარიბაშვილი: კონსერვატიული დაგეგმვის პირობებში ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 86 მილიარდი ლარი გამოგვივიდა, 2012 წელს მთელი ქვეყნის ეკონომიკა იყო დაახლოებით 27 მლრდ ლარი, ბოლო 11-12 წელიწადში ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა

2027 წელს ქვეყნის ეკონომიკა იქნება მინიმუმ 108 მილიარდი ლარი და ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით თითქმის 11 000 დოლარს მიაღწევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია ბოლო პერიოდში.

ამ პარამეტრებიდან გამომდინარე, 2024 წლის საერთო, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იქნება 28 მილიარდ 760 მილიონი ლარი, ანუ ჩვენ კიდევ გავზარდეთ ნაერთი ბიუჯეტი.

იცით, რომ, ყველა მიმართულებით ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა, ძალიან მნიშვნელოვანი, ხელშესახები ინიციატივები დავაანონსეთ და ამ პროექტებს განვახორციელებთ 2024 წელს, მათ შორის პენსიების ზრდა, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა. 600 მილიონამდე დამატებით გავუზარდეთ განათლებას, რომელიც მოხმარდება მასწავლებლების ხელფასების ზრდას და სკოლების, ბაღების მშენებლობას. ყველა მიმართულებით, კიდევ გავიმეორებ, მნიშვნელოვანი, ხელშესახები სიახლეები და ცვლილებები გვექნება 2024 წელს.

ჯამში რეგიონული ფონდი გახდება 580 მლნ ლარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტებს შეეძლებათ მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება.

ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იქნება 25 მლრდ ლარი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტი – 28 მილიარდ 760 მილიონი ლარი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მატება. 2012 წელს ბიუჯეტი იყო 9 მილიარდ ლარამდე, აქაც 3-ჯერ არის გაზრდილი და მთლიანი ეკონომიკაც გაზრდილია 3-ჯერ.

ჩვენ გვაქვს ფისკალური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაბალანსებული, პროგრამების შინაარსით საკმაოდ საინტერესო ბიუჯეტი, რომელიც მომდევნო წელს აისახება ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე და, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებასაც.

ასევე რეკორდულია დასაქმების დონეც, რაც მოიტანა ბოლო წლებში ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულმა სწორმა პოლიტიკამ, იმ ნაბიჯებმა, რომლებიც ჩვენ გადავდგით; იმ მშვიდობის პოლიტიკამ, რომელიც ჩვენ გვაქვს, თორემ დღეს რომ ყოფილიყო წინა ხელისუფლება და წინა მთავრობა, დღეს არც მშვიდობა იქნებოდა, არც ეკონომიკური ზრდა, არაფერი არ იქნებოდა. ქვეყანას ისინი მეორედ და საბოლოოდ დააქცევდნენ და გაანადგურებდნენ, როგორც მათ ერთხელ უკვე დაანგრიეს ეს ქვეყანა, ამიტომ ჩვენ ვინარჩუნებთ მშვიდობიან პოლიტიკას, მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარების მაღალ ტემპს...

27 ნოემბერი, 2023.

## ვალერი ასათიანი: „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ – ურთულესი ჟანრის საუკეთესო ნიმუში



იხ. 5 გვ.

## მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაზე გამავალ შუა დერეფანს ვაჭრობის, სატრანსპორტო კავშირების ხელშეწყობა და მიწოდების ჯაჭვის მდგრადობის ამაღლება შეუძლია




# დარგობრივი პოლიტიკა და ინვესტიციები

**მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით „სავაჭრო და სატრანსპორტო შუა დერეფანი – დარგობრივი პოლიტიკა და ინვესტიციები 2030 წლისთვის ტვირთების გადაზიდვების გასამმაგებისთვის და მგზავრობის დროის გასანახევრებლად“.**

**ანგარიში ფოკუსირებულია ყაზახეთზე, აზერბაიჯანსა და საქართველოზე და განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ ღონისძიებებს, რომლებსაც მულტიმოდალური სარკინიგზო, საზღვაო დერეფნის სიცოცხლისუნარიან და სანდო სავაჭრო გზად გარდაქმნა შეუძლიათ.**

ანგარიშის თანახმად, ჩინეთისა და ევროპის ბაზრების დამაკავშირებელ შუა დერეფანს, ცენტრალური აზიისა და კავკასიის გავლით, რეგიონული ვაჭრობის გამოცოცხლება და დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებისთვის კავშირების გაძლიერება შეუძლია. დერეფანი ასევე უზრუნველყოფს ჩინეთი-ევროპის საკონტეინერო ვაჭრობის მდგრადობასა და მარშრუტების დივერსიფიკაციას, გეოპოლიტიკური შოკებისგან ქვეყნების და მიწოდების ჯაჭვის დაცვით.

**„ჩვენი ახალი მონაცემები ადასტურებს, რომ შუა დერეფანი არა მარტო სიცოცხლისუნარიანია, არამედ შესაძლებელია არსებითი მნიშვნელობის მატარებელიც კი გახდეს მის გასწვრივ მდებარე ქვეყნების ეკონომიკისთვის“,** – აღნიშნა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, ანტონელა ბასანიმ.

მისივე თქმით, აზერბაიჯანმა, საქართველომ და ყაზახეთმა, სხვა ქვეყნებთან ერთად, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს საკუთარი ხედვების შეთანხმებაში და დერეფნის წინსვლაში.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, შუა დერეფნის მნიშვნელობა და სიძლიერე იმ სარგებელს უკავშირდება, რომლის მოტანაც მას, როგორც რეგიონთაშორის სავაჭრო დერეფანს შეუძლია. გაზრდილი ვაჭრობა აზერბაიჯანს, საქართველოს, ყაზახეთსა და ევროპას შორის მოთხოვნის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია, რაც გულისხმობს რეგიონის შიდა ვაჭრობის 37-პროცენტიან ზრდას და აღნიშნულ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის 28-პროცენტიან მატებას.

**„ახლა არის ხელსაყრელი მომენტი, რომ შუა დერეფანი გაცილებით კონკურენტუნარიანი გახდეს, გააფართოოს თავისი გამტარუნარიანობა, გაზარდოს ეფექტურობა და შეამციროს ხარჯები. მოკლევადიანი სარგებლის კომბინაცია ინსტიტუციური და ოპერაციული ღონისძიებების საშუალებით, საშუალოვადიან ინვესტიციებთან ერთად, გააძლიერებს შუა დერეფნის ფუნქციონირებას და აამაღლებს მის პოტენციალს“,** – განაცხადა მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის ინფრასტრუქტურის რეგიონულმა დირექტორმა, ჩარლზ კორმიერმა.

მსოფლიო ბანკის ცნობით, ანგარიში განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკას და ინვესტიციებს, რომლებიც საჭიროა ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ტრანსპორტზე არსებულ მოთხოვნაზე რეაგირებისთვის და ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად.

**„ანგარიში განსაზღვრავს საინვესტიციო შესაძლებლობების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც შემდგომ შეფასებას და პრიორიტეტულობის განსაზღვრას საჭიროებს“,** – ნათქვამია მსოფლიო ბანკის ინფორმაციაში.

## გიორგი არველაძე:

# არავითარი არჩევნები, მხოლოდ და მხოლოდ რევოლუცია!



**„არ შემიძლია გულგრილად ვუყურო იმას რაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ ხდება და ხმა არ ამოვიღო. ალბათ ბევრს ვაწყენინებ, მაგრამ ჩემი სათქმელი უნდა ვთქვა. მე ერთ-ერთი მათგანი ვარ ვინც ეს პარტია მიშასთან ერთად დავაფუძნეთ. ეს არის ერთადერთი პარტია, რომლის წევრიც ოდესმე ვყოფილვარ და ვიქნები. ბევრი ქართველი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, მე არ მჯერა პარტიების ცვლის, აქეთ-იქით ხტუნაობის.**

**მეამაყება ყველა წუთი რაც ამ პარტიაში მიშას ლიდერობის დროს გავატარე, მეამაყება ყველა საქმე რაც ქვეყნისთვის შევძელით – დაწყებული შევარდნაძის დამპალი რეჟიმის დემონტაჟიდან, დამთავრებული ქვეყნის ეკონომიკური, კრიმინალური, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურული კრიზისებიდან გამოყვანის საქმეში“,** – ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლების ეკონომიკის მინისტრი გიორგი არველაძე სოციალურ ქსელში წერს და „ნაციონალურ მოძრაობაში“ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

## დავით ქართველიშვილი:

# ემიგრაციაში, ცოლის საცვლებში გახვეული ნეო-ტროცკისტი არველაძე უკადრებელს კადრულობს!



„ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი სოციალურ ქსელში ორ ფოტოს ავრცელებს, სადაც ერთზე პრემიერი ღარიბაშვილი და ევროკავშირის ელჩია საქართველოში, ამ უკანასკნელის ციტატით: **„ბედნიერი ვარ, რომ ხელისუფლება ელვის სისწრაფით მოქმედებს. სამოქმედო გეგმა, რომელიც მთავრობამ გუშინ განიხილა და შეათანხმა, ევროკომისიას უკვე გადაეცა“, ხოლო მეორეზე „ნაცმოძრაობის“ წევრი გიორგი არველაძე ციტატით: „არავითარი არჩევნები! მხოლოდ და მხოლოდ – რევოლუცია!“.** როგორც დავით ქართველიშვილი წერს, გიორგი არველაძის ამ განცხადებას „ნაცმოძრაობა“ უნდა გაემიჯნოს და იგი პარტიიდან გარიცხონ.

**„ამ ორი ფოტოდან ერთ-ერთზე ევროპელები არიან გამოსახული, მეორეზე – ემიგრაციაში, ცოლის საცვლებში გახვეული ნეო-ტროცკისტი, რომელსაც იმის გამბედაობაც არ ჰყოფნის, ჩამოვიდეს, რუსთაველზე ტრიბუნა დაიდგას და მეგაფონით ხელში იყვიროს ის, რასაც კადრულობს. მშიშარა, ლაჩარი, უსამშობლო არაადამიანი – კრებსითი სახე მათი ე.წ. პარტიის „ევროპულობის, დემოკრატიულობის, ცივილიზებულობისა და პოლიტიკოსობის“. ახლა თუ ერთი ადგილი შეგრჩათ – გაემიჯნეთ მის „დემოკრატიულ“ მოწოდებას, სექტანტებო! ეგეც გარიცხეთ თქვენი სამარცხვინო რიგებიდან!“,** – წერს დავით ქართველიშვილი.



## ირაკლი კობახიძე:

# პოპკორნით საყურებელია ის, რაც ხდება „ნაცმოძრაობაში“!

**მართლა პოპკორნით საყურებელია ის, რაც ხდება „ნაცმოძრაობაში, დაუჭამიათ ერთმანეთი,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა. მისი თქმით, სასურველია, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალოს.

**„რაც უფრო მეტად დაიშლება ეს პარტია, მით უკეთესი. ზოგადად, მნიშვნელოვანია, არა მარტო პარტია „ნაცმოძრაობა“, არამედ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ დაიშალოს, აქეთ მიდის პროცესები. ამ ყველაფრის კულმინაცია იქნება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, სადაც ყველა დაინახავს, რომ „ნაცმოძრაობა“ იქნება უკიდურესად დასუსტებული და კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ დაიშლება“,** – განაცხადა კობახიძემ.

# გუშინ „ყვარლის ევროკლუბში“

## სალომე ზურაბიშვილი:

# მთავრობა, ლიდერები, მოდიან და მიდიან, მაგრამ რჩება საზოგადოება!



**საქართველოს პრეზიდენტი გუშინ „ყვარლის ევროკლუბის“ დაარსების ოთხი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო და იმ ახალგაზრდებს შეხვდა, რომლებიც ხელმოწერების კამპანიას შეუერთდნენ.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, ილიას ევროპული გზის მისაღწევად ყველას ჩართულობაა საჭირო.

**„ჩვენი მიზანი – ილიას ევროპული გზა იყოს მიღწეული, ამისთვის კი ყველას ჩართულობაა საჭირო: მთავრობა, ლიდერები, მოდიან და მიდიან, მაგრამ რჩება საზოგადოება და საზოგადოება თუ თავის თავში დარწმუნებულია, თუ საზოგადოებამ იცის რეალურად როგორი მომავალი უნდა, რა უნდა თავისი შვილებისთვის, მომავალი თაობისთვის, მაშინ ის საზოგადოება მიაღწევს თავისას და ეს იწყება ყოველივე ქალაქში, სოფელში, თემში, იქიდან წამოწყებული ყველა ინიციატივა ყველაზე ძლიერია. საქართველოს ისტორიამ ეს ძალიან კარგად იცის, რომ ყველაზე რთულ პერიოდებში სწორედ იმიტომ გადარჩა, რომ ყველა ადგილს ჰქონდა ეს თავისი ძალა, თავისი იდენტობა, ეს თავდაჯერებულობა და შეიძლება რაღაც პერიოდებში არ იყო რაღაც ცენტრალური მმართველობა, რომელიც ყველაფერს განაგებდა, მაგრამ იყვნენ ადგილობრივი ძალები, რომლებიც გადაურჩნენ, ზოგჯერ შეეგუვნენ ძალიან რთულ პირობებს, მაგრამ ზოგჯერ ერთობლივი იყო ეს გზა და ერთობლივი იყო ის გზა რაზედაც მივდიოდით და დღესაც მივდივართ.**

**მინდა, დღესაც ვთქვა როცა აქ, ილიასთან ვდგევართ და რეალურად ვიცით, თუ რა ფასი აქვს მის მოღვაწეობას და მის ნაკარნახევ გზას; ჩვენ დამოკიდებული ვართ იმაზე, რომ ასეთი ადამიანები გვასწავლიდნენ, აზიარებდნენ ცოდნას, აზიარებდნენ იმას, რაც არის ამ ქვეყნის კულტურა, და ამ ქვეყნის იდენტობა.**

## თაკო ჩარკვიანი: მამუკა ხაზარაძეს ორ პროცენტად რომ შემოაქვს თანხები და 31 პროცენტად აძლევს ხალხს, მევახშეა აბა რა!

**ორ პროცენტად რომ შემოგაქვს და 31 პროცენტად უპროცენტებ შენს ხალხს, მევახშე ხარ აბა ბანკირი ხარ,** – ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა, თაკო ჩარკვიანმა, „ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძეზე საუბრისას, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განაცხადა.

**„ხაზარაძემ რა თბილისი უნდა დაიბრუნოს, ჯერ დაუბრუნოს გაღატაკებულ თბილისელებს, კაცები რომ გადაამტვრია წელში მისმა ბანკმა და ცოლები რომ გაუქცია“,** – განაცხადა ჩარკვიანმა. მისი თქმით, საბანკო სისტემას ანადგურებს მევახშური სისტემა.

**„საბანკო სისტემას თუ ანადგურებს რაიმე, ეს არის მევახშური სისტემა. ეს არის, საბანკო სისტემა შეკრული რომ არის ლომბარდებთან, საკუთარი სალომბარდე სისტემა რომ აქვთ. ახალია ეს ყველაფერი?“** – აღნიშნა ჩარკვიანმა. ხაზარაძე შერწყმული იყო წინა ხელისუფლებასთან და მის მიერ გაპროტესტებული საბანკო პოლიტიკა არ ახსენდება.



## მაინც, ვინ აგულიანებს ავაზაკ სომხებს აფხაზეთში?

# რა ვუყოთ ქართული მიწა-წყლის ახალ მეკობრეებს?!



**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის ეროვნებით სომეხ დეპუტატთა ჯგუფმა სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთმნიშვნელოვნად მხარდაჭერის საპასუხოდ ერთობლივი საპროტესტო განცხადება გაავრცელა.**

**„ჩემს საჯარო გამოსვლებში რამდენჯერმე მაქვს ნათქვამი, რომ ჩვენ სრულად და ცალსახად ვუჭერთ მხარს საქართველოს ერთიანობასა და სახელმწიფოებრიობას“,** – განაცხადა ამ დღეებში სომხეთის პრემიერმა **ნიკოლ ფაშინიანმა.**

არცახში (არაღიარებული მთიანი ყარაბაღი – რედ.) დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, როცა სომხეთის მოქმედმა ხელმძღვანელობამ იძულებული გახადა 120 ათასი თავისი მოქალაქე, საკუთარი სახლები და ტერიტორია დაეტოვებინა, ფაშინიანის გამოსვლა შეიძლებოდა, კომენტარის გარეშე დაგვეტოვებინა, მაგრამ მეტისმეტად ცინიკურად გაიჟღერა მისმა თეზისმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის თაობაზე.

ეს ცინიკური იყო არა იმიტომ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფო აფხაზეთს სუვერენულ საქართველოსთან არავითარი კავშირი არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ სულ ორიოდე წლის წინ ერევანი საქვეყნოდ აცხადებდა, „არცახი სომხეთია და ყარაბაღის ტერიტორიაზე აზერბაიჯანის არანაირ პრეტენზიებს არ დავუშვებთო“. სამწუხაროდ, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ სომხეთის მოქმედი ხელისუფლება კონიუნქტურად ექვემდებარება და ადვილად იცვლის პოზიციას, მათ შორის – მთელი სომხობისთვის ისეთ სენსიტიურ საკითხში, როგორიცაა არცახის სახელმწიფოს არსებობა. მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან მისი გაქრობა სწორედ ოფიციალური ერევნის „დამსახურებაა“.

შეგახსენებთ, რომ ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის ათობით ათასმა სომეხმა გაწირა სიცოცხლე. ახლა ფაშინიანი აკეთებს განცხადებას, რომელიც სხვა ვერანაირად შეფასდება, თუ არა დემარშად ჩვენი სამშობლოს – აფხაზეთის წინააღმდეგ. გვსურს, შევახსენოთ ნიკოლ ფაშინიანს, რომ აფხაზეთში სადღეისოდ თითქმის 42 ათასი სომეხი ცხოვრობს. აქ ჩვენთვის შექმნილია ყველა პირობა მშობლიურ ენაზე სასწავლებლად, ჩვენი კულტურის, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ჩვენ სიამაყით ვუწოდებთ აფხაზეთს სამშობლოს.




## სოხუმი და ცხინვალი ფაშინიანს და საქართველოს უპირისპირდებიან!

სომხეთს, რა თქმა უნდა, შეუძლია, მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ სუვერენულ აფხაზეთს მასთან არაფერი აკავშირებს. უკვე 30 წელია, ჩვენი მრავალეროვანი ხალხი აშენებს საკუთარ სახელმწიფოს და ფაშინიანისგან განსხვავებით, აფხაზეთში არ არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ ხალხის არჩევანს და ერთი ხელის მოსმით გააუქმებდნენ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენი საუკეთესო შვილების სისხლზე იდგა“.

24 ნოემბერს, პირდაპირ სატელევიზიო ეთერში იმ კითხვის საპასუხოდ, „მზადაა თუ არა სომხეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიაროს?“,



ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ „სომხეთი სრულად და ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“.

25 ნოემბერს ფაშინიანის ეს განცხადება გააპროტესტა ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ლიდერმა ალან გაგლოევმა, რომლის შეფასებით, „ოს ხალხს არ აინტერესებს იმ ადამიანის პოზიცია, რომელმაც საკუთარ ხალხს უღალატა, სამხრეთ ოსეთი კი აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ყველას მოუწევს, ამას ანგარიში გაუწიოს“.

25 ნოემბერსვე ფაშინიანის განცხადება დაგმო საქართველოს კიდევ ერთი ოკუპირებული რეგიონის – აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერმა ასლან ბჟანიამაც.

**„სომხეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა დასავლეთის გავლენის ქვეშაა მოქცეული, ავრცელებს განცხადებას, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხის არჩეულ გზას – დამოუკიდებელ ქვეყნად განვითარებას ეწინააღმდეგება. ბოლო განცხადებებში, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა უპირობოდ მხარი დაუჭირა „საქართველოს ერთიანობას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულობას“, რაც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს.**

**საჭიროდ მივიჩნევთ, ფაშინიანს შევახსენოთ, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა პატივს სცემს სომეხ ხალხს, რომელთაგან ზოგიერთმა წარსულში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებისგან ხსნა აფხაზეთში იპოვა. დღეს სომხური საზოგადოება აფხაზეთში წარმოდგენილია როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებაში, სომხურ ენასა და კულტურას მხარს უჭერს სახელმწიფო, სომხური სამოციქულო ეკლესიის სტრუქტურები კი თავისუფლად ფუნქციონირებენ“,** – წერია ბჟანიას განცხადებაში.

ამასთან, დე ფაქტო ლიდერმა აღნიშნა, რომ „სომხებს აფხაზეთში აქვთ ყველაფერი, რისი გარანტირებაც ნიკოლ ფაშინიანმა ვერ შეძლო ყარაბაღში მცხოვრები სომხებისთვის, რომლებიც მისი პოლიტიკის შედეგად სახელმწიფოს ჩამოშლისა და მშობლიური მიწიდან მასობრივი გაძევების ტრაგედიის წინაშე აღმოჩნდნენ“.

გარდა ამისა, ბჟანია ამტკიცებს, რომ **„არც სომხეთი და არც მისი პრემიერის მიერ მხარდაჭერილი საქართველო შეესაბამებიან ფაშინიანის განცხადებაში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს“.**

# ამბიციური არარაობანი – ხაზარაძე და ჯაფარიძე დაუთმობენ ადგილს სიაში მელიას და ნაყოფიას?!

**მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში „დაბრუნდა“ და ციხე-საავადმყოფოდან პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იღებს ლიდერობაზე. გეგმებიც დასახა – ერთ-ერთია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს გაფართოება, მათ შორის იმ ხალხის დაბრუნება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაქსიმალურად ჩართვა, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით პარტიის წინაშე და ადრე პოლიტსაბჭოს წევრები იყვნენ.**




**„ჩვენ ყველანი უნდა შევთანხმდეთ, რომ ამის შემდეგ შეწყდება ერთმანეთზე თავდასხმა და ყველანი ერთად ვიბრძოლებთ საერთო მტრის წინააღმდეგ. მე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ლიდერობაზე და ძალიან გამიხარდება თუ მაქსიმალურად ბევრი ვიქნებით ამ ბრძოლაში“,** – აცხადებს **მიხეილ სააკაშვილი.**

იგულისხმა თუ არა სააკაშვილმა თავის განცხადებაში **ნიკანორ მელია,** ჯერჯერობით გაუგებარია. რამდენადაც ცნობილია, მელია პარტიას მას შემდეგ დატოვებს, რაც მოლაპარაკებას დაასრულებს „ლელოსთან“. ჩვენი ინფორმაციით, მელია, რომლის უკან პარტიული ელექტორატის გარკვეული ნაწილი დგას და მათ შორის მხარდაჭერი ჰყავს რეგიონებში, მოლაპარაკებას აწარმოებს „ლელოსთან“, თუმცა გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია. დიდი ალბათობით, მელია თავისი რესურსით **ხაზარაძე-ჯაფარიძის** გუნდის ათეულში იქნება. ჩვენივე ინფორმაციით, მელიასთან ერთად „ლელოს“ უერთდება **პოგა ნაყოფიაც.**

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, აქ პროცესები არცთუ ისე სასიამოვნოდ ვითარდება. პარტიაში პოლიტიკური დაპირისპირების პიკია. პარტიის ერთი ნაწილი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება **დავით კეზერაშვილს,** მოლაპარაკებას აწარმოებს **ზურა გირჩი ჯაფარიძესთან** და **ელენე ხოშტარიას** „დროასთან“, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ პარტიამ უნდა შეისრუტოს ყველა დაბალპროცენტიანი პარტია, რაც დაპირისპირების მიზეზია.

იხ. 3 გვ.



სააკაშვილი ხაზარაძეს ხან მონასტერში წასვლას ურჩევდა, ხან ზვიგენების ლუკმად გახდომას უწინასწარმეტყველებდა, დღეს კი ხაზარაძის კონცეფციას აიდეალებს



# მამუკა ხაზარაძე ყოველთვის იყო სააკაშვილის, ამ მთავარი ბანდიტის, მორჩილი!

**სააკაშვილმა ხაზარაძესთან გადაკვეთის წერტილები იპოვა. „ვივამედში" მყოფი ექსპრეზიდენტი ამბობს, რომ მთლიანად ეთანხმება „ლელოს" მიერ წამოყენებულ დერუსიფიკაციის კონცეფციას და, ასევე, იწონებს „ლელოსეულ" მეორე კონცეფციას, რომ „შუა უნდა შეიკრიბოს", რაც ბიძინა ივანიშვილის ცნობილი ფრაზის – „შუა უნდა გაიკრიფოს" საწინააღმდეგოა.**

ერთხანს სააკაშვილი და ხაზარაძე ერთმანეთის მიმართ სიმპათიებს გამოხატავდნენ, იყო დრო, როცა სააკაშვილმა მამუკა ხაზარაძე თავის დაბადების დღეზე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების დღეს, ანუ 2010 წლის 29 დეკემბერს, „თიბისი ბანკის" პრეზიდენტს 44 წელი შეუსრულდა, სააკაშვილმა ხაზარაძის დაჯილდოება იმით ახსნა, რომ, მიუხედავად იმისა, მსგავსი ორდენი იშვიათად გაიცემოდა, „ხაზარაძემ ეს დაიმსახურა".

სხვათა შორის, მოგვიანებით ხაზარაძე ცდილობდა, წარმოეჩინა, რომ მიშა მის დაჭერას აპირებდა, აბსურდული საქმეც აღიძრა მის წინააღმდეგ, მაგრამ იგი გადარჩა.

**ნამდვილად აპირებდა თუ არა ხაზარაძის დაჭერას მიშა, ამის შესახებ თავისი ვერსია აქვს ირაკლი ღარიბაშვილს. პრემიერი ამბობს, რომ მამუკა ხაზარაძე ყოველთვის იყო სააკაშვილის, ამ მთავარი ბანდიტის, მორჩილი მსახური, რომელიც სააკაშვილის ფინანსურ დანაშაულებს ასრულებდა. ღარიბაშვილის თქმით, ღამის 2-3 საათზე მიჰყავდათ ბიზნესმენები ნოტარიუსთან, მათ შორის, „თიბისი ბანკშიც", ხაზარაძის ოფისებში და ხდებოდა ბიზნესების გადაფორმება.**

მოგვიანებით სააკაშვილის და ხაზარაძის გზები გაიყო. სააკაშვილი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, ხაზარაძე არ გაელანძღა. მას ხან მონასტერში წასვლას ურჩევდა, ხან ბიძინა ივანიშვილის ზვიგენების ლუკმად გახდომას უწინასწარმეტყველებდა.

**„ხაზარაძის ადგილზე, თუ გადაურჩა დაჭერას, წავიდოდი მონასტერში და მოვინანიებდი უამრავი ადამიანის გაუბედურებას, რადგან ხაზარაძის ქონება, მინიმუმ, ხუთჯერ გაიზარდა. ეს უმადური მე მადანაშაულებს მის ბიზნესზე ზეწოლაში",** – ამბობდა სამიოდე წლის წინ სააკაშვილი ხაზარაძის ბრალდების საპასუხოდ, რომ სააკაშვილი ბიზნესმენების განკულაკებას ახდენდა.

სააკაშვილის დამოკიდებულებას ხაზარაძის მიმართ მისი კიდევ ერთი ფრაზა გამოხატავდა, რომ ეს „ფულის ტომარა ოლიგარქი ხაზარაძე ხელისუფლებაში შეძრომას ცდილობდა".

დღეს რა შეიცვალა ხაზარაძე-სააკაშვილის ურთიერთობაში და რაში უნდა აწყობდეს ხაზარაძეს პრეზიდენტყოფილის მხრიდან ქათინაურები?

* * *

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ სააკაშვილისა და ხაზარაძის ურთიერთობა პოლიტიკისთვის ტიპურ ვითარებას ადასტურებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პოლიტიკოსებს ან ძალიან უყვართ ერთმანეთი, ან ძალიან სძულთ, სინამდვილეში, რეალური დამოკიდებულებით პოლიტიკოსები არ ხელმძღვანელობენ, არამედ ხელმძღვანელობენ იმით, იმ წუთას რა არის მათთვის სასარგებლო.

**„მოცემულ მომენტში სააკაშვილისთვის სასარგებლოა ნებისმიერი ოპოზიციური ძალა, მით უმეტეს, ოპოზიციური ძალა, რომელსაც გარკვეული თანხები აქვს. თანაც, ეს ოპოზიციონერი – მამუკა ხაზარაძე იმ პლატფორმაზე ყოფნას ქადაგებს, რაც სააკაშვილისთვის მისაღებია, თითქოს ეს არის დერუსიფიკაცია. სააკაშვილი სულ იძახდა, რუსეთი მტერია, რუსეთი ცუდიაო და ამ ფონზე ყოველთვის ყიდდა სტრატეგიულ ობიექტებს რუსეთზე. რაც შეეხება ხაზარაძის ახალ თეზისს – „შუა უნდა შეიკრიბოს", თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, „შუა უნდა გაიკრიფოსო", იგულისხმა, რომ მასსა და „ნაცმოძრაობას" შორის შუალედური პოზიცია არ უნდა არსებობდეს, ყველა უნდა იდგეს ან ერთ, ან მეორე მხარეს. ეს იყო ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი წამყვანი მოთხოვნა.**

**ისევე, როგორც პრაქტიკულად ყველა პოლიტიკურ ბრძოლაში პოლიტიკოსები ცდილობენ ხოლმე, იპოვონ პოლუსები და ყველანი შეკრიბონ ამ პოლუსების გარშემო. ახლა სიტუაცია სხვანაირია, რადგან „ქართული ოცნების" პოლუსი არსებობს და ძალიან დიდი მიზიდულობის ძალა აქვს, ბევრი ამომრჩეველი ჰყავს, ხოლო ოპოზიციის პოლუსზე შედარებით ცოტა ამომრჩეველია",** – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

**„მართალია, სააკაშვილმა თქვა, „შუა უნდა შეიკრიბოსო", მაგრამ სააკაშვილმა ის იგულისხმა, რომ „შუა ჩემსკენ უნდა წამოვიდესო". თორემ „შუა შუად დარჩესო", სააკაშვილს ეს არ უთქვამს",** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

* * *

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** აზრით, სააკაშვილი ეშმაკსაც შეეკვრება, ოღონდ თავი დააღწიოს და გამოვიდეს იქიდან, სადაც ის ამჟამად არის გამოკეტილი. ამდენად, ახლა ხაზარაძის მიმართ თბილ ფრაზებს არ იშურებს. თუმცა ჩვენი საზოგადოების უმეტესობისთვის სააკაშვილი და ხაზარაძე ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება.

**„სააკაშვილი როდესაც ხალხს აყაჩაღებდა, ნაძარცვი ქონების „გაპრავებას" ახდენდა ხაზარაძე, ამისთვის ხაზარაძე იღებდა ე.წ. ბრწყინვალების ორდენებს სწორედ სააკაშვილის მხრიდან. ამიტომ სააკაშვილის რიტორიკა ხაზარაძის მიმართ ბლეფია, მეტი არაფერი"!..**

**მანანა ნოზაძე**

# ამბიციური არარაობანი – ხაზარაძე და ჯაფარიძე დაუთმობენ ადგილს სიაში მელიას და ნაყოფიას?!

**(მესამე გვერდიდან)** ამ სტრატეგიას მხარს არ უჭერს „სტრატეგია აღმაშენებელი", რომელსაც, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, 2004 წლის არჩევნები ფინანსურად საკმაოდ ძვირი უჯდება და პარტიის ე.წ. ობშიაკი უკვე დადო. **გიორგი ვაშაძე** მხარს არ უჭერს პარტიაში **თაკო ჩარკვიანის** შემოყვანას. სავარაუდოა, რომ ჩარკვიანი პარტიაშიც შევა და ე.წ. ობშიაკსაც გადაიხდის.

მმართველ გუნდში თვლიან, მელია ცალკე რომც გავიდეს, 1%-ს აიღებს და ეს 1% დაეკარგება „ნაციონალურ მოძრაობას". პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას" თითოეული პროცენტი ენანება, რადგან ბოლო პერიოდში ისედაც ბევრი დაკარგა.

**„საშველს ვერ აყენებენ ხაბეიშვილი-მელიას დაპირისპირების და კონფლიქტის საქმეს. იმედია, ბოლომდე მიიყვანენ ამას. ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის. ერთი იმას ცვლის, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს კონფლიქტი, მით უკეთესი ჩვენთვის. უკვე საკმაოდ დიდხანს გრძელდება და იმედია, კიდევ უფრო მეტად გააღრმავებენ ამ შიდა დაპირისპირებას და კინკლაობას. ეს, საბოლოო ჯამში, კარგია, რომ კიდევ უფრო მყარად დავასრულოთ 2024 საპარლამენტო არჩევნები",** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

აღსანიშნავია, რომ **მიხეილ სააკაშვილმა** თავისი ქმედებებით ხელი შეუწყო პარტიის დაშლას და ყველაფერი სწორედ იქეთკენ მიდის, რომ პარტია მნიშვნელოვან ხმებს დაკარგავს მელიას გასვლით. რაც შეეხება სააკაშვილის განცხადებას, ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** აცხადებს, რომ უკიდურეს ილუზიებში დაცურავს სააკაშვილი თავის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით, რომელიც უცხო ქვეყნის, უკრაინის მოქალაქეა. მას არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ის იყოს იურიდიულად პოლიტიკური ლიდერი ნებისმიერი პარტიული ორგანიზაციისა. ამიტომ, ამ თვითილუზიებით სურს გამოკვებოს თავისი მხარდამჭერები, რომელიც ყოველდღე აკლდება იმ დაპირისპირების გამო, რაც არის „ნაციონალურ მოძრაობაში".

**„რომელი ძველი ადამიანები და ე.წ. დამსახურებულები უნდა დააბრუნოს? ისედაც დაბრუნებულები არიან „ნაცმოძრაობის" სხვადასხვა განშტოებებში. მართლაც პოლიტიკურად ნაფტალინიანი და პოლიტიკურად ჩამყაყებული ხალხი, მათ რა ახალი უნდა შესძინონ? „ნაცმოძრაობის" კლასიკური მაგალიათია ის, რასაც ყოველდღე ვხედავთ, გაუნათლებელი ხაბეიშვილი, მერაბიშვილი და მათი პატრონი კეზერაშვილი, რომელსაც არანაირი ინტელექტუალური რესურსი და პოლიტიკური ალღო არ გააჩნია. მისი ერთადერთი რესურსი არის ფინანსები.**

**რასაკვირველია, აქ არის დაპირისპირება. სააკაშვილი და ბიძამისი ჩეკისტი თემურ ალასანია ერთ მხარეს არიან და მეორე მხარეს – რეალურად, პარტიის განმკარგავი, ჩრდილოვანი ლიდერი დავით კეზერაშვილი. უახლოეს თვეებში წავა ბრძოლა იმაზე, თუ ვინ იქნება მოწინავე სიაში. ტყუილად კი არ წუწუნებს „ნაციონალური მოძრაობა", რომ მას სურს 5%-იანი ბარიერის დაწევა. კი, ბატონო, იცის, რომ გადალახავს 5%-ს მაგრამ მიაღწევს კი ორნიშნა რიცხვს 2024 წლის არჩევნებში? ამიტომ სურს ნაკლები ბარიერი, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი შეიყვანოს. მაგრამ, სწორედ, აი, ამ სიის შედგენაში იქნება უდიდესი კონფრონტაცია ამ დაყოფილ ძალებს შორის",** – აცხადებს **აბაშიძე.**

რაც შეეხება ნიკა მელიას ბედს, როგორც ანალიტიკოსი ამბობს, გადამწყვეტი არ იყო მოაწერადა თუ არ ხელს ამ მანიფესტს, რომელიც, ალბათ, ჩათვალა, რომ მართლაც ფარატინა ქაღალდია და არაფერს არ ნიშნავს.

**„ახალი პარტია თუ ვერ შექმნა, რასაც დიდი რესურსი სჭირდება, შეიძლება რომელიმეში გადაბარგდეს და ასეთად მოიაზრება „ლელო". მაგრამ, „ლელოში" არიან საკმაოდ ამბიციურნი, მაგრამ პოლიტიკაში არარაობანი – ხაზარაძე და ჯაფარიძე. დაუთმობენ კი მოწინავე ადგილებს „ლელოს" სიაში, სადაც ასევე დაუდასტურებელი ინფორმაციით, გახარიას გუნდს სურს გადაბარგება. ამიტომ, უახლოეს თვეებში სრული ქაოსი იქნება რადიკალური ოპოზიციის ველზე, რომელიც უახლოეს თვეებში უფრო მწვავე სახეს მიიღებს",** – აღნიშნა **გია აბაშიძემ.**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით, ეს არის სააკაშვილის ბოლო მცდელობა, რომ თავი დაიძვრინოს პატიმრობიდან და რაც უმთავრესია, ფაქტობრივად, ვერ გრძნობს იმ რეალობას, რომ მას ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.

**„ის, უბრალოდ, არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ანუ უკრაინის მოქალაქე. ამიტომ, მისი ეს განცხადება არის ე.წ. პიარის შედეგი და მეორე – სააკაშვილმა ეს განცხადება გააკეთა იმ საშინელი ძალების დაკვეთით, რომელსაც ჰქვია ე.წ. გლობალური ომის პარტია. თუმცა, მისი მცდელობაა რამენაირად მოიპოვოს პოლიტიკური რეაბილიტაცია. სააკაშვილი არავის არ ენდობა უკვე. ის არის ჩამოწერილი, როგორც აქ ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. არის გალიაში მომწყვდეული მხეცივით, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ეს არის გაუთვითცნობიერებელ ამომრჩეველზე და მის მომხრეებზე, მის სექტაზე გათვლილი განცხადებები",** – განაცხადა **ედიშერ გვენეტაძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ – ურთულესი ჟანრის საუკეთესო ნიმუში

**„ცხოვრებანი“ მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული ჟანრია. ვინც ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების აღწერას განიზრახავს, მწერლობასთან ერთად მეცნიერებასთან, მრავალმხრივ და ხანგრძლივ კვლევა-ძიებასთან უნდა იყოს წილნაყარი. სხვა თვისებებთან სწორედ ეს ორი თვისებაა წამყვანი პაატა ნაცვლიშვილის პიროვნებაში, რომელიც ერთდროულად არის მწერალიც, ჟურნალისტიც, მხატვარიც, მეცნიერიც. მის მიერ ახლახან გამოცემული თითქმის 600-გვერდიანი ორტომეული „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ ამ ურთულესი ჟანრის საუკეთესო ნიმუშია, რომლის ბადალი ბევრი არ მოიძებნება ქართულ სინამდვილეში.**

თურმე რამდენი რამ არ გვცოდნია გიორგი ნიკოლაძის შესახებ, თურმე რამდენი რამ ყოფილა საკვლევი და საძიებელი, თურმე რამდენი უცნობი მასალა ყოფილა გამოსავლენი და შესასწავლი!

**პითხულოგ პროფესორ პაატა ნაცვლიშვილის ამ მონუმენტურ ნაშრომს და შენს თვალწინ მთელი თავისი მასშტაბით წამოიმართება გიორგი ნიკოლაძე – მეცნიერი, ინჟინერი, სპორტსმენი, ადამიანი, რომელიც ბევრ რამეში იყო პირველი: ქართული მეტალურგიის პიონერი, ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, არითმომეტრის გამომგონებელი, პირველი ქართული სპორტული საზოგადოების შემქმნელი, პირველი ქართული ალპინისტური ასვლების სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი, ქართველ ინჟინერთა პირველი თაობის აღმზრდელი, თანამედროვე ქართული სამეცნიერო თუ სპორტული ტერმინოლოგიის ერთ-ერთი ავტორი. დღე ისე არ გაივლის, რომ ქართველმა ადამიანმა გიორგი ნიკოლაძის მიერ შექმნილი ერთი სიტყვა მაინც არ წარმოთქვას: ნათურა, ძრავა, სამკუთხედი, მართი, მდგრადი, წნევა, ხსნარი, დენი, ტოლოგა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ჩოგბურთი, მთამსვლელოგა, წამმზომი, მსაჯი.**

პაატა ნაცვლიშვილის პირველი გამოკვლევა გიორგი ნიკოლაძის შესახებ გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა. იმავე პერიოდს განეკუთვნება აგრეთვე მისი ცნობილი ნარკვევი „ნიკოლაძეთა საგა“, რომლითაც მაშინ ახალგაზრდა ავტორმა მისი მრავალმხრივი ინტერესების ერთი მთავარი თემა მოხაზა – ნიკოლაძეთა ჯერ კიდევ მრავალმხრივ აღმოსაჩენი დიდი ოჯახის შესწავლა და მათი სახელოვანი საქმეების გამომზეურება. მას შემდეგ, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, პაატა ნაცვლიშვილი საქართველოსა თუ უცხოეთში აგროვებდა და აგროვებს, ყველაფერს რაც ნიკოლაძეთა ოჯახს უკავშირდება, ინფორმაციიდან მოყოლებული, უცნობი ფოტოებისა და გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ჩათვლით. ასე რომ, იგი ნიკოლაძეთა ოჯახისა და მათი მდიდარი სულიერი მემკვიდრეობის საუკეთესო მცოდნედ იქცა დღევანდელ საქართველოში. როგორც მისი ამ ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგი, იგი აქვეყნებდა და დღესაც აქვეყნებს სტატიებს, გამოკვლევებსა თუ წიგნებს ნიკო ნიკოლაძეზე, მის და-ძმაზე, მის შვილებზე და პირველ ყოვლისა – სწორედ გიორგი ნიკოლაძეზე. „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ ამ მრავალწლიანი ძიებისა და შრომის ერთგვარი გვირგვინია, მაგრამ ალბათ არა უკანასკნელი – მე იმედი მაქვს, რომ პაატა ნაცვლიშვილის მიერ შეძენილი ცოდნა და ინფორმაცია, მის მიერ დაგროვილი ცნობილი თუ უცნობი მასალა ადრე თუ გვიან თავს მოიყრის კიდევ ერთ, უფრო მასშტაბურ პროექტში, რომელსაც პირობითად „ცხოვრება ნიკო ნიკოლაძისა“ შეიძლება ვუწოდოთ.



ნიკო ნიკოლაძეს ავტორი ამ წიგნშიც ეხება: მისი პირველი თავი – „მამა – დიდი ნიკო“ წიგნის 50 გვერდზეა გაშლილი. სხვანაირად ეს წიგნი ალბათ წარმოუდგენელიც იქნებოდა – „ცხოვრების“ ჟანრი ადამიანის ოჯახური ვითარების ასახვასაც მოიცავს, მით უმეტეს თუ წიგნის გმირის მშობლები ნიკო ნიკოლაძე და ოლღა გურამიშვილი არიან, ხოლო მისი დები – რუსუდან და თამარ ნიკოლაძეები.

წიგნის მეორე ტომში ავტორს მოყვანილი აქვს რუსუდან ნიკოლაძის სიტყვები მამამისზე და გიორგიზე:

„მამა წარსული საუკუნე იყო, გიორგი კი – მომავალი. ორივე თავ-თავისებურად ბუმბერაზები, დიდები“.

პროფესორ პ. ნაცვლიშვილის ორტომეულში პირველის გარდა კიდევ ათი თავია: „ბავშვობა, დები“, „სამნი ერთ ნავში“, „სტუდენტობა“, „მეტალურგია“, „შევარდენი“, „მთამსვლელობა“, „ჟორჟეტა“, „მოგზაურობანი“, „მეცნიერება“, „უკვდავება“. თითოეული ეს თავი ყურადღებას იქცევს მასალის სისრულითაც, კვლევა-ძიების სრულყოფითაც და ახალი მასალის სიუხვითაც. თითოეული მათგანი დამოუკიდებლადაც, ცალკე წიგნადაც კი მეტად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ერთად თავმოყრილი ყველა ეს ნაშრომი ქმნის იმ უნიკალურ ლიტერატურულ თუ მეცნიერულ ძეგლს, რომელიც თამამად დაუმშვენებს გვერდს ქართულ „ცხოვრებათა“ საუკეთესო ნიმუშებს.

წიგნს განსაკუთრებულ ღირსებას მატებს ასეულობით ფოტო, რომელთა ერთი ნაწილი პირველად ქვეყნდება. სხვათა შორის, ორტომეულის დიზაინი და დაკაბადონება თავად პაატა ნაცვლიშვილს ეკუთვნის. და ეს გამოცემა ამ მხრივაც გამორჩეულია.

ასეთი გამოცემისთვის ავტორის გარდა მადლობა ეკუთვნის გამომცემლობა „პეტიტს“ და, რა თქმა, უნდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თბილისის მერიას, რომლებიც სასტამბო ხარჯების დაფარვაში დაეხმარნენ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას, რომლის ეგიდითაც გამოვიდა ეს ორტომეული. ერთადერთი, რაზეც გული გვწყდება, წიგნის მეტისმეტად მცირე ტირაჟია, რის გამოც „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ გამოსვლისთანავე უკვე ლამის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. არადა, რა კარგი იქნებოდა, რომ ეს გამოცემა საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სკოლაში იყოს.

**„ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ მნიშვნელოვნად ამდიდრებს პროფ.პაატა ნაცვლიშვილის უნიკალურ, მრავლისმომცველ „შემოქმედებით მოზაიკას“.**

**ვალერი ასათიანი.**
აკადემიკოსი

## ...საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

### ლაშა ტალახაძე:

# კვარაცხელია ძალიან კარგი ადამიანია, მინდა, იცოდეს, რომ ფეხბურთის ყურება მან დამაწყებინა!



**„არ მქონია საშუალება, ხვიჩა კვარაცხელიაზე სადმე მესაუბრა და ამ ადამიანის მიმართ ჩემი შთაბეჭდილება გამომეხატა. სიმართლე გითხრათ, დიდი ნაცნობობა არ გვაკავშირებს, მხოლოდ ინტერნეტსივრცეში მისალოცი მესიჯებით ვურთიერთობთ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, პირადადაც გავიცნო.**

**უპირველესად, ძალიან კარგი ადამიანია, თავმდაბალია და ეს უმნიშვნელოვანესია სპორტსმენისთვის. როდესაც ამდენი წარმატების შემდეგ ადამიანი არ იცვლება და კეთილშობილების მაგალითია, ასეთი ადამიანის ყველაფერი გამიხარდება და არა მარტო მე, არამედ ძალიან ბევრს. ხვიჩა კვარაცხელიას ჯერ არ უთქვამს თავის სათქმელი. მას უფრო მეტი შეუძლია და ეს ბიჭი უფრო მეტს იტყვის.**

**საქართველოში ყველა სპორტს და სპორტსმენს ვგულშემატკივრობ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთის გულშემატკივრობით გამოვირჩეოდი. მინდა, ვთქვა და იცოდეს, რომ ხვიჩა კვარაცხელიამ დამაწყებინა ფეხბურთის ყურება. არასდროს არ მქონდა თავიდან ბოლომდე ის 90 წუთი და პლუს, დამატებითი დრო ნანახი. არასდროს არ მიგულშემატკივრია, საქართველოს ნაკრების გარდა, სხვა გუნდისთვის, მაგრამ როდესაც „ნაპოლის“ თამაშია, ჩავრთავთ სამეგობრო და ვუყურებთ.**

**მინდა, წარმატებები ვუსურვო, ახალგაზრდა სპორტსმენია, ძალიან წარმატებულია და წინ უფრო მეტი წარმატება ელის. ის თავისი შრომით, თავმდაბლობითა და კარგი ადამიანობით ძალიან ბევრს მიაღწევს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ძალიან ბევრ ადამიანს გაახარებს. ძალიან კარგად მახსოვს ის მომენტი, როდესაც ხვიჩა კვარაცხელია გამოჩნდა. „ნახე, ხვიჩამ რა მაგრად ითამაშა“, – უხარიათ ადამიანებს. უხარიათ ჩვენი წარმატებები და სპორტი არის ის, რაც ამ ჩვენს მოსახლეობას ახარებს და მინდა, რომ ხვიჩასაც და თითოეულ სპორტსმენს ბევრი წარმატება ვუსურვო. მჯერა, რომ საქართველოში ის მომენტი დგას, როდესაც ძალიან ბევრი სპორტსმენი გაიზრდება და თავის სათქმელს იტყვის“... დიდი სურვილი მაქვს, ხვიჩა კვარაცხელია პირადად გავიცნო“,** – განაცხადა ქართული და მსოფლიო სპორტის ლეგენდამ, ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ TST სპორტთან ინტერვიუში.

# გიორგი კეკელიძის „კვარას საქართველო“ იტალიურად ითარგმნა. წიგნის წინასიტყვაობის ერთ-ერთი ავტორი დიეგო მარადონას შვილია

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძის წიგნი, სახელწოდებით „კვარას საქართველო“ იტალიურად ითარგმნა და 16 დეკემბრიდან გამოიცემა.**

მკითხველი ხვიჩას გარდა, წიგნში ფეხბურთელის წინაპრებს, ქართულ ფეხბურთს, ბუნებას, საქართველოს კუთხეებსა და ადამიანებს გაეცნობა. წინასიტყვაობის ავტორები დიეგო მარადონა უმცროსი და აკა მორჩილაძე არიან.

**„ეს არის წიგნი ხვიჩა კვარაცხელიაზე და მის სამშობლოზე, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ ბევრი არაფერი ვიცით, არადა ძველი, ანტიკური ქვეყანაა, საოცარი კულტურით და ხალხით. ეს წიგნი არის მხატვრული ხერხებით გადმოცემული საქართველოს მზეების ისტორია, რომელიც ხვიჩას წყალობით, ბურთად იქცა იქაურებისთვის, არის ქართული ფეხბურთის ამბები, რომელიც დიდ წარსულს გულისხმობს და ბევრისთვის უცნობია, ხვიჩას წინაპრებზე, საოცარ ბებიაზე და ბაბუაზე, მის პირველ მწვრთნელზე და ფეხბურთის ფანატიკურ სიყვარულზე ქართველი ხალხისა, ხელნაკეთი ანტენით რომ ცდილობდნენ ფეხბურთის სიგნალის დაჭერას დედაქალაქის მახლობელ მთაზე.**

**ძალიან ემოციური ამბავია ჩემთვის, რომ წიგნი სწორედ მამაჩემზე, დიეგო არმანდო მარადონაზე ლაპარაკით იწყება, რომელიც საოცრად ჰყვარებია ქართველ ხალხს, რომელიც ერთხელ იყო კიდეც საქართველოში და დარწმუნებული ვარ დღეს ნეაპოლელი ხვიჩათი ძალიან იამაყებდა. იამაყებდა იმითაც, რომ ხვიჩაზე ამ წიგნის ფინალში არა ვინმე ცნობილი ხალხი, არამედ პატარა ქალაქის ბაზრის მუშაკები ლაპარაკობენ – იმ დიდი სიყვარულით და სიხარულით, რომლის მოტანაც, მგონი, მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია“,** – წერს დიეგო მარადონა ჯუნიორი წინასიტყვაობაში.



# სევდიანი გიორგობა,

## ანუ 23 ნოემბერი (1989 წ.) – ცხინვალში!..

**ცნობილი ქართულ-ოსური კონფლიქტის დაჩქარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკური პარტიების მცდელობამ მიტინგის ჩატარებით ცხინვალში 1989 წლის 23 ნოემბერს. თვის დასაწყისში, საქართველოს პოლიტიკური პარტიის დიდმა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულის დღეს, მოეწყოთ ხალხმრავალი მიტინგი ცხინვალში.**

მიტინგის ჩატარების შესახებ მიმართვა მოსახლეობისადმი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს“ 22 ნოემბრის ნომერში:

**„1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ინიციატივით გაიმართება სანქცირებული მიტინგი. შეკრება დაიწყება დღისით, დილის 9 საათიდან, თბილისის სპორტის სასახლესთან და კინოს სახლთან. მობილიზებული იქნება ტრანსპორტი.**

მიტინგის ძირითადი თემა: **1. საქართველოს მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე; 2. რეფერენდუმი; 3. ეროვნებათშორის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხები; 4. ქართული მოსახლეობის ეროვნული და ადამიანური უფლებების დაცვა ისტორიული სამაჩაბლოს მიწა-წყალზე.“**


მიხეილ ცოტნიაშვილი

მიტინგის ჩატარებასთან დაკავშირებით, ოსი სეპარატისტები სხვადასხვა ცილისმწამებლურ ხმებს ავრცელებდნენ მომიტინგეების მიმართ. ამავე დროს, ფარულადაც მოქმედებდნენ, რათა თავიანთი შავბნელი ზრახვები არ გამოევლინათ და ნდობა არ დაეკარგათ მასებში.

დაძაბულობის თავიდან აცილების მოტივით, ქართველთა და ოსთა გარკვეული ნაწილი წინ აღუდგა მიტინგის ჩატარებას. ცხინვალის საზოგადოების მოწინავე ნაწილი შეეცადა, არ დაეშვა კონფლიქტის გაღრმავება. ამ მიზნით, 21 ნოემბერს, თბილისში, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან შესახვედრად, დელეგაცია გაიგზავნა. მის შემადგენლობაში იყვნენ: **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ნაფი ჯუსოითი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ზაგრატ ტეხოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ჰაჯი-მურატ ძუწათი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები - რექტორი, პროფ. ლუდვიგ ჩიბიროვი, პრორექტორი, პროფ. შოთა ქურდაძე, ფილოსოფიის კათედრის გამგე პროფ. რუთენ კაბისოვი, ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. პავლე დოგუზოვი, ისტორიის კათედრის წევრები: მიხეილ ცოტნიაშვილი, იური გაგლოითი.**

ცხინვალიდან თბილისში ჩასული დელეგაცია შეხვდა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს – ზვიად გამსახურდიას, აკაკი ბაქრაძეს და ნოდარ ნათაძეს. მათ დამსწრე საზოგადოებას აუწყეს ჩასვლის მიზანი.

შეხვედრის შესახებ დელეგაციის წევრი მიხეილ ცოტნიაშვილი აღნიშნავს: ,,...საუბარში აქტიურად ჩაებნენ ნაფი ჯუსოითი, ლუდვიგ ჩიბიროვი, იური გაგლოითი, პავლე დოგუზოვი... ისინი დიდი მონდომებით ითხოვდნენ, არ წამოსულიყვნენ ცხინვალში, ვინაიდან, მიტინგი მართალია მშვიდობიანი იქნებოდა, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო, ეს აქცია თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ოს სეპარატისტებს, მოენათლათ იგი, როგორც აგრესია და აეყოლიებინათ მასები...

დასასრულ, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, – **ეს იქნება სანქცირებული, მშვიდობიანი მიტინგი. არავითარ დანაშაულთან ან დარღვევასთან არ გვექნება საქმე. ყველაფერს დიდი სიფრთხილით გავაკეთებთ. მიტინგის ჩატარებით ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო დავუახლოვდეთ ოს ხალხს, დავარწმუნოთ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, რეაქციულ ძალებს კი შეცდომაში შეჰყავთ თავიანთი ხალხი. ეს იქნება მეგობრობისა და ძმობის მიტინგი, ქართველთა და ოსთა დამაკავშირებელი. თქვენს მოთხოვნასაც ვითვალისწინებთ, მაგრამ თუ ასე ფიქრობდით, სად იყავით აქამდე, ორი დღით ადრე მაინც ჩამოსულიყავით. ახლა საქართველოს ზოგი რაიონის მოსახლეობა გზაშია, როგორ შევძლებთ მათ შეჩერებას?..**



უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ზ. გამსახურდია მართლაც გულწრფელი იყო. ჩვენ ნამდვილად დავაგვიანეთ თბილისში ჩასვლა.“

მიტინგის წინა დღეს, ცხინვალში ჩავიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე. მან პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში გამართა საგანგებო შტაბის სხდომა, რომელზეც ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლობაც იყო მიწვეული. სხდომას წარმართავდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი მერაბ გოხელაშვილი. მოისმინეს შ. გორგოძის ინფორმაცია ცხინვალში მიტინგის ჩატარების, ადგილზე ოპერატიული მდგომარეობისა და მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საგანგებო შტაბის სხდომაზე გამოიყო ოსებისა და ქართველების 10 -კაციანი დელეგაცია, რომელიც 23 ნოემბერს ცხინვალის მიმდებარე სოფ. ერგნეთთან შეხვდებოდა მომიტინგეთა ხელმძღვანელებს და სთხოვდა მათ, მიტინგი იმ სოფელშივე ჩაეტარებინათ.

დელეგაციის წევრის მიხ. ცოტნიაშვილის თქმით: ნამდვილად ძნელი გახდა მომიტინგეების ერგნეთში შეჩერება. ახალგაზრდებმა გზა ცხინვალისკენ განაგრძეს. ამასობაში, რუსი ჯარისკაცები გამოჩნდნენ ჯავშანტექნიკით. მათ რკინის ქუდები ეხურათ და გრძელი ფარებით იყვნენ შეიარაღებულნი. ისინი გზის მთელ სიგანეზე განლაგდნენ რამდენიმე მწკრივად, ფარები წინ მოიმარჯვეს და ფაქტობრივად, გადაკეტეს გზა. ამის გამო დაბრკოლების სამხრეთით მომიტინგეები აღმოჩნდნენ, ხოლო ჩრდილოეთით – ცხინვალის მოსახლეობა (ძირითადად ოსები). აქვე იდგა ქ. ცხინვალის, სოფ. თამარაშენის, აჩაბეთის, ქურთის, კეხვის, სვერის, ხეითის, ქემერტის, ძარწემის ქართველი ახალგაზრდობა. ისინი კოლონებად მოემართებოდნენ, აპირებდნენ მომიტინგეებთან შეერთებას, მაგრამ ისინი იმ დროს მოადგნენ ზღუდრის გვერდას ჩრდილო დასავლეთიდან, როცა გზა უკვე გადაკეტილი იყო...


მერაბ გოხელაშვილი

ოსი მოსახლეობის ტალღა სულ უფრო მატულობდა, აქვე მოვიდნენ ,,ადამონ ნიხასის“ ლიდერები. გამოჩნდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი მერაბ გოხელაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის მოხელეები. დაიწყო მოლაპარაკება. მომიტინგეთა მხრიდან დიდად აქტიურობდა პოლიტიკური ორგანიზაცია სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე. იგი ითხოვდა სამშვიდობო, მეგობრული მიტინგის ჩატარებას ქართველი და ოსი მოსახლეობის მონაწილეობით ცხინვალის ნებისმიერ ადგილას, თუნდაც კულტურისა და დასვენების პარკში, ან ფეხბურთის სტადიონზე, რომელიც სულ 50-მდე მეტრით აშორებდა მომიტინგეებს: **ძმებო, ქართველებო, ოსებო! აქ მოვედით, რათა ერთმანეთს სულში ჩავხედოთ, სამშვიდობო მიტინგის ჩატარება გვსურს, რათა განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა...**

კიდევ რამდენიმე ქართველმა ორატორმა სცადა აეხსნა, რომ მხოლოდ კეთილშობილური მიზნებით იყვნენ ჩამოსულნი ამ წმინდა დღესასწაულის დღეს (გიორგობას), მაგრამ რაკი დამსწრე ოსმა საზოგადოებამ ყურად არ იღო მათი საუბარი, გამოსვლები შეწყდა...

სამშვიდობო მიტინგის ჩასატარებლად, მეორე დილიდანვე განახლდა მოლაპარაკება. **ქართველები მშვიდობიანი მიტინგის ჩატარებას მოითხოვდნენ, ოსი სეპარატისტები არ ეთანხმებოდნენ.**

როცა საქართველოს პოლიტიკური პარტიების ლიდერები დარწმუნდნენ, რომ გადაჭარბებული მცდელობა კიდევ უფრო დაძაბავდა მდგომარეობას, მიიღეს გადაწყვეტილება, უკან დაბრუნებულიყვნენ. ეს კი, ყოველგვარი ეჭვისა და შენიშვნების გარეშე, გონივრული ნაბიჯი იყო.

**რობერტ ოდიკაძე,**
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

# მეკობრეების მიერ გატაცებული ტანკერი,

## რომელზეც საქართველოს მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ, ამერიკელებმა გაათავისუფლეს

**კვირას ადენის ყურეში შეიარაღებული პირების მიერ დატყვევებული ტანკერის დასახმარებლად ამერიკული Mason მივიდა. ისრაელის ბიზნესთან დაკავშირებული ტანკერი გაათავისუფლეს, მისი ეკიპაჟის წევრები არ დაშავებულან.**

**ტანკერის ხუთი გამტაცებელი ნავით ცდილობდა გაქცევას, მაგრამ დააკავეს,** – ნათქვამია აშშ-ის ხელისუფლების განცხადებაში. თავდასხმის მონაწილეების შესახებ დეტალები არ ვრცელდება.

მეკობრეების დევნისას ამერიკული გემისა და ტანკერის მიმართულებით იემენის ტერიტორიიდან ორი ბალისტიკური რაკეტა გაისროლეს. თუმცა მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. აშშ-ის ცენტრალურმა სარდლობამ სოციალურ ქსელ X-ზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში აღნიშნა, რომ არც ერთი ხომალდი არ დაზიანებულა და არც დაშავებულები არიან.

**მცირე ზომის ტანკერს Central Park-ს, რომელსაც ქიმიური ტვირთი გადააქვს, მართავს ლონდონში დაფუძნებული ისრაელის კომპანია Zodiac Maritime. ტანკერის ეკიპაჟი, რომელსაც თურქი კაპიტანი ხელმძღვანელობს, 22 ადამიანისგან შედგება. ისინი არიან საქართველოს, რუსეთის, ვიეტნამის, ბულგარეთის, ინდოეთის და ფილიპინების მოქალაქეები,** – იტყობინება Zodiac Maritime.

გემზე თავდასხმა ბოლოა ახლო აღმოსავლეთის წყლებში მსგავსი თავდასხმების სერიიდან ისრაელსა და „ჰამასს“ შორის ომის დაწყების შემდეგ. ამ ინციდენტს წინ უძღოდა ისრაელთან დაკავშირებული სატვირთო გემის დაკავება სამხრეთ წითელ ზღვაში იემენის ჰუთი ამბოხებულების მიერ. შემთხვევა ერთი კვირის წინ დაფიქსირდა. შემდეგ ჰუთები, რომლებიც პერიოდულად უშვებენ რაკეტებსა და უპილოტო საფრენ აპარატებს ისრაელის მიმართულებით, ღაზას სექტორში „აგრესიის“ საპასუხოდ ისრაელის ყველა გემზე თავდასხმით დაიმუქრნენ.





## ალექსეი არესტოვიჩი:

# უკრაინის მთავრობამ სისულელით და კორუფციით ბევრი მიზეზი შექმნა ქვეყნის მიტოვებისთვის!

**ალექსეი არესტოვიჩის** თქმით, უკრაინის მთავრობამ სისულელით და კორუფციით ბევრი ფორმალური და არაფორმალური მიზეზი შექმნა უკრაინის მიტოვებისთვის.

ალექსეი არესტოვიჩი წერს, რომ დავით არახამიას ინტერვიუ არის ომის გაგრძელებისთვის პასუხისმგებლობის გადატანა ბორის ჯონსონზე. არესტოვიჩი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, ზელენსკის ოფისში გადაწყვიტეს პასუხისმგებლობის განაწილება ჯონსონსა და ზალუჟნის შორის.

**„ჩვენ მოვიგეთ ჩვენი ომი. ჩვენ გავტეხეთ რუსეთის ფედერაციის საკადრო არმია და შემოჭრის გეგმა დასავლეთის მინიმალური დახმარებით: პირველი რამშტაინი – უკვე 26 აპრილს, პირველი სერიოზული მიწოდება – ივნისის ბოლოს. ჩვენი ომი შეიძლება დაგვირგვინებულიყო სტამბოლის ხელშეკრულებებით და რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი ცოცხალი ყოფილიყო. და შემდეგ დაიწყო კიდევ ერთი ომი. ჩვენ ვერ მოვიგებდით ამ მეორე ომს თვითმფრინავების და შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების, სახმელეთო ჯარების ხუთჯერ მეტი მარაგის გარეშე. ეს არც ერთი არ მომხდარა. ჩვენ ამაში დიდი ფასი გადავიხადეთ, მაგრამ ეს მაინც პრობლემის ნახევარია. მეორე ნახევარი არის ახალი სამშვიდობო შეთანხმება, რომლის ჩვენთვის დაწესებას შეეცდებიან. „გარიგების“ ზოგადი მონახაზები ასეთი იქნება: იმდენი ინვესტიცია ჩავდეთ თქვენში, თქვენ კი ისეთი კორუმპირებული და სულელები ხართ, არ გამოგივიდათ, ახლა პუტინს დაუტოვეთ ოთხი რეგიონი და – კარგი“,** – დაწერა ალექსეი არესტოვიჩმა.

ცნობისთვის, უკრაინის მმართველი ფრაქციის, „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარემ, დავით არახამიამ განაცხადა, რომ ზელენსკის რუსეთთან შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმა ბორის ჯონსონმა ურჩია, რომელიც კიევში რუსეთ-უკრაინის სტამბოლის მოლაპარაკებების შემდეგ ჩავიდა.

**„როცა სტამბოლიდან დავბრუნდით, კიევში ჩამოვიდა ბორის ჯონსონი და თქვა, რომ ჩვენ მათთან საერთოდ არაფერს მოვაწერთ ხელს და მოდით, უბრალოდ, ვიომოთ“,** – აღნიშნა არახამიამ.



### კარდინალი პიეტრო პაროლინი:

## ღვთისმშობლის ხატის სტელას გახსნა დიდ წვლილს შეიტანს წმინდა საყდრისა და საქართველოს დაახლოებაში

**ვატიკანის ტერიტორიაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სტელას გახსნა უდავოდ დიდ წვლილს შეიტანს წმინდა საყდრისა და საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებაში,** – ამის შესახებ ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა პიეტრო პაროლონიმ განაცხადა.

პიეტრო პაროლონიმ, რომის პაპის სახელით, საქართველოს მთავრობასა და მის წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა. ამასთან, კარდინალმა პიეტრო პაროლონიმ მადლობა გადაუხადა ვატიკანში საქართველოს ელჩს, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს, რომელიც დიპლომატიურ მისიას ასრულებს.

**„დღეს ასევე შეკრებილი ვართ, რათა დავემშვიდობოთ წმინდა საყდართან საქართველოს ელჩს, ბატონიშვილ ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს, რომელიც ასრულებს დიპლომატიურ მისიას წმინდა საყდართან. ბევრმა თქვენგანმა იცის, რომ იგი ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა ჯერ 2005 წლიდან 2014 წლამდე, შემდეგ 2019 წლიდან დღემდე. მართებული იქნება, მადლიერება და კმაყოფილება გამოვხატოთ მის მიერ გაწეული საქმიანობისადმი, რომელიც ყოველთვის მიმართული იყო წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაძლიერების, გაღრმავებისკენ. მისი მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვანი მომენტის ჩამოთვლა გამიჭირდება. პირადად ჩემთვის დაუვიწყარია საქართველოსთვის ძალიან ტრაგიკული პერიოდის, 2008 წლის ომის დროს მჭიდრო თანამშრომლობა და ინტენსიური კონტაქტები, მაშინ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მდივნის მოადგილე ვიყავი, ასევე, 2019 წელს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ვიზიტები. ქალბატონი ელჩი, ასევე, აქტიურად უწევდა ორგანიზებას სხვადასხვა დონის შეხვედრებსა თუ ვიზიტებს, როგორიცაა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ვატიკანში 2021 წლის 18 ივნისს, რომლის დროსაც ხელი მოეწერა საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის თანამშრომლობის ორ მემორანდუმს კულტურისა და მეცნიერების სფეროში.**

**კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ქეთევან ბაგრატიონს და წარმატებას ვუსურვებ ქართველ ხალხს“,** – განაცხადა პიეტრო პაროლონიმ.



### მეუფე დანიელი:

## ...არსებობს ისეთი ქრისტიანული ეკლესია, რომელიც ბოლომდე დაიცავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას

**ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოზაიკის ვატიკანში დავანება იქნება კიდევ ერთი საშუალება ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო სცილდება ამ სულიერ ღირებულებებს,** – ამის შესახებ ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა განაცხადა.

**„ივერიის ღვთისმშობლის ხატი, მისი დედანი ბრძანდება ათონის მთაზე. ეს არის საკრებულო მართლმადიდებელი ეკლესიებისა, სადაც წარმოდგენილია ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია. არის ასეთი საეკლესიო გადმოცემა, რომ ეს ხატი იფარავს ათონის მთას. ათონის მთის მფარველობა ნიშნავს ზოგადად მართლმადიდებლობის მფარველობას, ვიდრე მეორე მოსვლამდე. ეს არის წინასწარმეტყველება იმისა, რომ საქართველოს ქრისტიანული ეკლესია და ქართველი მართლმადიდებლები ბოლომდე შეინარჩუნებენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას და ამ ხატის ასლის შექმნა მოზაიკაში, რომელიც მაღალ დონეზე არის შექმნილი, და დაბრძანება ვატიკანის ტერიტორიაზე, სადაც მსოფლიოს არა მარტო ქრისტიანული, არაქრისტიანული სამყარო, სეკულარული, ათეისტური საზოგადოება მოდის, ეს შეიძლება, იყოს კიდევ ერთი შეხსენება იმისა, რომ არსებობს ისეთი ქრისტიანული ეკლესია, რომელიც ბოლომდე ერთგულად დაიცავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეს არის გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის. ამიტომ ეს არის ისტორიული მოვლენა და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ხატის აქ დავანება იქნება კიდევ ერთი საშუალება ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო სცილდება ამ სულიერ ღირებულებებს. ამიტომ ჩვენ მადლობელი ვართ ღვთისა, რომ ეს მოხდა, ეს შესრულდა და ამიერიდან ივერიის ღვთისმშობელი იქადაგებს ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამჯერად ვატიკანის ტერიტორიაზე“,** – განაცხადა მეუფე დანიელმა.

# საზეიმო მიღება ვატიკანში

**ვატიკანში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ისტორიულ სასახლეში, პალაცო დელა კანჩელარიაში, გაიმართა საზეიმო მიღება, რომელიც ვატიკანში ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკის აღმართვას მიეძღვნა.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიღებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი, ვატიკანის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი პიეტრო პაროლონი და ვატიკანში საქართველოს ელჩი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი. სიტყვით გამოსვლისას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონის განსაკუთრებულ წვლილს საქართველოსა და წმინდა საყდრის ურთიერთობათა განვითარებაში.

**„დღეს ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით და აღვნიშნავთ საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებულ მტკიცე მეგობრობას, რომელიც დაკავშირებულია ისტორიის მრავალი მოვლენით და ღრმად არის ფესვგადგმული ქრისტიანულ კულტურაში“,** – განაცხადა ხათუნა თოთლაძემ.

მისივე თქმით, ორი სუვერენული სახელმწიფო, საქართველო და წმინდა საყდარი, იზიარებს მშვიდობისა და სტაბილურობის ფასეულობებს, როგორც უზენაეს ნორმებს, რომელთაგანაც უნდა მომდინარეობდეს სახელმწიფოს ქმედებები, ისევე, როგორც სამყაროს ხედვა, სადაც დომინირებს ტოლერანტობა, პატივისცემა და ურთიერთგაგება. მინისტრის მოადგილემ ვრცლად ისაუბრა ორი ქვეყნის ისტორიულ კავშირებზეც.



## ზურაბ ყიფშიძის ვარსკვლავი



**მარჯანიშვილის თეატრის წინ ზურაბ ყიფშიძის ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავის გახსნამდე კი მარჯანიშვილის თეატრში „მეფე ლირის“ ჩვენება გაიმართა.**

ვარსკვლავის საზეიმო გახსნას მსახიობის მეგობრები, ოჯახის წევრები და კოლეგები ესწრებოდნენ. მას აგვისტოში 70 წელი შეუსრულდა. ზურაბ ყიფშიძე 1976 წლიდან არის კინომსახიობთა თეატრისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი. მონაწილეობდა 50-ზე მეტ ფილმში, მათ შორის: „როცა აყვავდა ნუში“, „სურამის ციხე“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „დონ კიხოტი“, „მარტოხელა მონადირე“, „წუთისოფელი“, „ამბავი სურამის ციხისა“ და სხვა მრავალი.



## ვახტანგ კახიძე „გრემის“ ნომინანტია!

2024 წლის „გრემის“ დაჯილდოებაზე წარდგენილ ივან ლინსის ალბომზე „My Hearth Speaks“, რომელიც თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩაიწერა, მაესტრო ვახტანგ კახიძემ გადაცემაში „იმედი LIVE“ ვრცლად ისაუბრა. მისი თქმით, აღნიშნული ალბომი ნომინაციაში მოხვდა როგორც „საუკეთესო ლათინო ჯაზ ალბომი“.

**„პირველი, რაც გავიფიქრე, იყო, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამას ჩვენი ქვეყნისა და ორკესტრისთვის. ასეთ პატარა ქვეყანაში რომ არსებობს ორკესტრი, რომელსაც მიანდობს ისეთი დიდი მუსიკოსი, როგორიც არის ივან ლინსი, ასეთი პროდუქცია შექმნას. შემდეგ ის, რომ ეს ჩანაწერი „გრემის“ ნომინანტებს შორის ხვდება. არ ვიცი, 4 თებერვალს რა მოხდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი წარმატებაა ჩვენი ქვეყნის, მუსიკალური კოლექტივებისა და საერთოდ, ჩვენი მუსიკალური ცხოვრებისთვის, დადასტურდა უკვე, რომ ასეთ პატარა ქვეყანაში არსებობს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მყოფი ორკესტრი“,** – აღნიშნა მაესტრომ. ივან ლინსის ალბომი, რომელიც თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩაიწერა, „გრემის“ დაჯილდოების 2024 წლის ნომინანტთა სიაში მოხვდა.

## ანსამბლი „შვიდკაცა“ 25 წლისაა!



**ერთგულ მსმენელთან ერთად, ანსამბლმა „შვიდკაცამ“ 25 წლის იუბილე თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აღნიშნა.**

ანსამბლის წევრებმა აუდიტორიისთვის საყვარელი ხალხური და ქალაქური სიმღერები შეასრულეს. კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა.

## „ოპერა ქრაუნ“ თბილისის ვოკალისტთა მესამე საერთაშორისო კონკურსი



**თბილისის ვოკალისტთა მესამე საერთაშორისო კონკურსი „ოპერა ქრაუნ“ დასრულდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დასკვნითი მესამე ტური, ლაურეატების დაჯილდოება და კონკურსის საზეიმო დახურვა გაიმართა.**

კოვენტ გარდენი, ვაშინგტონის ნაციონალური ოპერა, ვენის სახელმწიფო ოპერა – ეს მცირე ჩამონათვალია მსოფლიოს იმ წამყვანი საოპერო თეატრებისა და სააგენტოების ხელმძღვანელების, რომელთა შემადგენლობასაც კონკურსის ჟიური წარმოადგენდა.

პირველი პრემიის მფლობელი **ელმინა ჰასანი** გახდა. მეორე პრემიის – **ანა ფალავანდიშვილი**, მესამე პრემია კი **დინ მუჰამედ კოშკინ ბაევს** გადაეცა. თეატრის სპეციალური პრიზი მიიღო ყაზახეთის ქვეყნის წარმომადგენელმა **ალიხან ზეინოლამ.** ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას მსოფლიოს 20 ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა.

**უცნაური ამბავი მოხდა არგენტინაში: ახლახანს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ყველასთვის მოულოდნელად, საზოგადოებისთვის მანამდე უცნობმა, ერთმა 53 წლის ეკონომისტმა გაიმარჯვა. მმართველი პარტიის კანდიდატს, პოპულარულ მემარცხენე პერონისტს აჯობა, ამომრჩეველთა ხმების 56 პროცენტი აიღო და მთელი მსოფლიოს სალაპარკოდ იქცა. რა მოხდა ისეთი, რომ ეს ახალგამოჩეკილი ლიბერტარიანელი პოლიტიკოსი არგენტინელი ხალხის რჩეული გახდა? შეგახსენებთ, რომ ლიბერტარიანიზმი ინდივიდის გადაწყვეტილების უზენაესობას, მთავრობის შემცირებულ ძალაუფლებასა და თავისუფალი საზოგადოების არსებობას ამკვიდრებს.**



# არგენტინის პრეზიდენტიც შეშლილი შოუმენია!

რატომ და როგორ აირჩიეს **ხავიერ მილეი** არგენტინის პრეზიდენტად. არგენტინა მძაფრ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, რომელიც, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო. მთავრობისა და სავალუტო ფონდის ჩარევით, რამდენჯერმე მოხდა კრიზისის ჩაქრობა, მაგრამ საქმეს ბოლომდე მაინც არ ეშველა. სამჯერ გამოცხადდა ფინანსური დეფოლტი. ქვეყნის მმართველობაში გაუთავებლად ცვლიან ერთმანეთს ახალი სახეები, მაგრამ კრიზისს ვერავინ ვერ აჩერებს. ისევე, როგორც სხვა ბევრ ქვეყანაში, არგენტინაშიც პოლიტიკური სპექტრი ორადაა გაყოფილი, მემარჯვენეებად და მემარცხენეებად. ბოლო და ახლა უკვე გადარჩეული პრეზიდენტი, ალბერტო ფერნანდესიც, მემარცხენე პერონისტია, რომლის ხელში არა თუ არ გამოჩნდა პრობლემის დაძლევის გზა, პირიქით, გაუარესდა მდგომარეობა: მოსახლეობის 50 პროცენტი სიღარიბის ზღვარზეა, მძვინვარებს უმუშევრობა, წლიური ინფლაცია 143 პროცენტს აღწევს. და, აი, ასეთი უიმედობისა და საყოველთაო ნიჰილიზმის ფონზე გამოჩნდა ერთი არაორდინარული პოლიტიკოსი, სახელად, **ხავიერ მილეი.**

ბავშვობაში ელ-ლოკო, ანუ შეშლილი შეარქვეს. სახელი ტელეშოუებში გამოსვლებით გაითქვა, სადაც ეკონომიკაზე კი საუბრობდა ხოლმე სოლიდურად, მაგრამ არც საჯარო ბილწსიტყვაობას ერიდებოდა. ისე იქცეოდა ტელეეკრანზე, ზოგჯერ, გიჟის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოხდა ისე, რომ არგენტინის მოსახლეობის უმრავლესობას ზუსტად მისი ასეთი ექსცენტრული საქციელისთვის მოეწონა ხავიერ მილეი. სწორედ ამ პოპულარობის ტალღაზე აირჩიეს ის არგენტინის პარლამენტში.

აქაც აჩვენა თავისი ექსცენტრულობა. ხავიერ მილეი არცერთ ტრადიციულ პარტიას არ შეუერთდა. თავისი ლიბერტარიანული პარტია შექმნა, სახელით, La libertad Avanza, თავისუფლება მოდის. მალე, საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენა. პარლამენტშიც და საპრეზიდენტო კამპანიის დროსაც, არგენტინის ჩამყაყებული პოლიტიკური სისტემის გამწმენდის იერსახე მოირგო. პოპულიზმის, დემაგოგიისა და ექსცენტრულობის კორიანტელი დააყენა. მისმა სიტყვებმა და იდეებმა, ანუ, არგენტინის ცენტრალური ბანკის გაუქმებამ, ინფლაციის შეჩერებამ და ქვეყნის მთავარ ვალუტად ამერიკული დოლარის გამოცხადებამ, ექსპერტები საგონებელში ჩააგდო. ხავიერ მილეი თავის პოლიტეკონომიკურ აზრებსა და ზრახვებს კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის ზღვარზე ავრცელებს.

აბორტის აკრძალვას, ცეცხლსასროლი იარაღის ლეგალიზაციასა და ორგანოებით ვაჭრობას უჭერს მხარს. ამბობს, რომ მორწმუნეა, მაგრამ კათოლიკურად გაზრდილი, იუდაიზმით დაინტერესდა. საგარეო პოლიტიკაში ანტიჩინელია და პროამერიკელი. ერთი სიტყვით, მისი იდეები დომხალივითაა ერთმანეთში არეული. ამიტომ გაუსვეს ხაზი ექსპერტებმა, რომ მისი ნათქვამი, ყველაფერი მოჩვენებითია, შოუმენია და მეტი არაფერიო!..

ხავიერ მილეის გამარჯვებას სხვა მხარეც აქვს: მსოფლიოში პოლიტიკური იდეებისა და თავად დემოკრატიის კრიზისი აჩვენა. ხალხი ყველგან, ყველა ქვეყანაში, დაიღალა და უნდობლობით განიმსჭვალა პოლიტიკის, როგორც მოვლენის, მიმართ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოლიტიკურ პროცესში, ზოგადად, ასარჩევიც და ამომრჩეველიც, ორივე, ხავსს ეჭიდება გამწარებული. აბა, რა იქნება! ისეთი დრო დადგა, რომ ინსტაგრამით, ტიკტოკითა და ტელეშოუთი მიღწეული პოპულარობით, შეიძლება, ქვეყნის მეთაური გახდე...

# ლიბერალ ბაიდენს ლიბერალური პრესაც უტევს!




**ამერიკის კონგრესში, მსჯელობის ერთერთი ყველაზე დიდი საგანი ქვეყნის კრიმინოგენული მდგომარეობაა. რესპუბლიკელი დეპუტატები დემოკრატებს საკითხის მიმართ უყურადღებობაში სდებენ ბრალს. კრიმინალის ერთმა გახმაურებულმა შემთხვევამ ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. სახელმწიფო მანქანაზე თავდასხმის მცდელობაზეა საუბარი. ეს ამბავი საღამოს მოხდა, თან, დედაქალაქის ცენტრში. მანქანაში ამერიკის პრეზიდენტის შვილიშვილი გოგონა იჯდა.**

ინციდენტი ბაიდენის შვილიშვილისთვის ცუდად დამთავრდებოდა, სახელმწიფო დაცვის მუშაკებს რომ არ გაეწიათ მისთვის დროული დახმარება. სახელმწიფო დაცვამ იარაღი გამოიყენა. მოხდა გასროლა, მაგრამ ყაჩაღებმა მიმალვა მოასწრეს. მოგვიანებით, ეს ინციდენტი მასმედიისთვის ცნობილი გახდა. ბაიდენის ადმინისტრაციამ აღიარა, რომ დედაქალაქში არასასიამოვნო ვითარებაა. რესპუბლიკელების აზრით, კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესების მიზეზი დემოკრატების მიერ გატანილი ლიბერალური კანონებია, რომელიც დემოკრატებმა ზოგიერთი ენჯეოს რეკომენდაციით მიიღეს. მათი მეშვეობით პოლიციელების დასჯა გაადვილდა.

ეს კანონები, თითქოს, ფლოიდის ინციდენტის მაგვარ დანაშაულებს აარიდებს ქვეყანას თავიდან. შეგახსენებთ, რომ 2020 წელს, მინეაპოლისის პოლიციას, დაკავების დროს, 46-წლის შავკანიანი მოქალაქე ჯორჯ-ფლოიდი შემოაკვდა. მოგვიანებით, გაირკვა, რომ პოლიციამ ძალაუფლებას გადაამეტა, რამაც მთელ ქვეყანაში მძლავრი სახალხო პროტესტი და დიდი არეულობა გამოიწვია. ამერიკის შავკანიანი მოსახლეობა ყველაფერში პოლიციას ადანაშაულებდა. ფლოიდის ინციდენტის შემდეგ დაშინებული პოლიციელები სათანადოდ ვეღარ უმკლავდებიან კრიმინალს.

მათ უნებლიე ბრალეულობის გადაულახავი შიში გაუჩნდათ. მდგომარეობა იმდენად კომიკურია, რომ პოლიციის მთავარი საქმე მოსახლეობისთვის რეკომენდაციების მიცემა გახდა, თუ როგორ დაიცვან თავი კრიმინალისგან. საბოლოოდ, ისე გამოდის, რომ მოქალაქეს პოლიციის იმედი არ უნდა ჰქონდეს და, თუ კრიმინალის მსხვერპლი გახდა, საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოს. ამ საკითხში, ბაიდენის ადმინისტრაციას, უკვე, ლიბერალური პრესაც კი ესხმის თავს.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

## იენს სტოლტენბერგი:
# ჩვენი უსაფრთხოების ინტერესია, რომ პუტინმა არ მოიგოს ეს ომი!



**უკრაინის გადასაწყვეტია, რა არის მისთვის მისაღები გზები ამ ომის დასრულებისთვის, ჩვენი პასუხისმგებლობაა, მხარი დავუჭიროთ უკრაინას, რომ გაათავისუფლონ რაც შეიძლება მეტი მიწა, ომები ბუნებით არაპროგნოზირებადია,** – ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, **იენს სტოლტენბერგმა** განაცხადა. მისი თქმით, რუსეთი სულ უფრო და უფრო იზოლირებული ხდება პოლიტიკურად, სუსტდება ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით.

**„ჩვენ ვერ ვნახეთ ვერანაირი ნიშანი იმისა, რომ პრეზიდენტი პუტინი მშვიდობას გეგმავს, ის რეალურად გეგმავს უფრო მეტ ომს. რაც ჩვენ ვიცით, არის ის, რომ რაც უფრო მეტ სამხედრო მხარდაჭერას გავუწევთ უკრაინას, მით უფრო ძლიერი იქნება მათი პოზიცია ბრძოლის ველზე, მით უფრო ძლიერი იქნება მათი პოზიცია პოტენციური მოლაპარაკების მაგიდაზე. ვფიქრობ, ჩვენ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ უკრაინამ უკვე მიაღწია დიდ გამარჯვებებს. უნდა გვახსოვდეს, საიდან დაიწყო ეს კონფლიქტი. ჩვენ გვეშინოდა, რომ უკრაინა რამდენიმე კვირაში დაიშლებოდა და პრეზიდენტი პუტინი რამდენიმე დღეში გააკონტროლებდა კიევს. ეს ასე არ მოხდა, პირიქით მოხდა. რუსეთი სულ უფრო და უფრო იზოლირებული ხდება პოლიტიკურად, სუსტდება ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით“,** – განაცხადა სტოლტენბერგმა. მისი განცხადებით, ნატოს უსაფრთხოების ინტერესია, რომ პუტინმა არ მოიგოს ომი.

**„რუსებს შეუძლიათ თავიანთი მარაგების შევსება საბრძოლო მასალითა და ახალი შესაძლებლობებით. მათ მიიღეს მნიშვნელოვანი რაოდენობის საბრძოლო მასალა ჩრდილოეთ კორეიდან და მზად არიან, რომ ამ ოპერაციაში ადამიანები გაწირონ, რაც ასევე ურთულებს უკრაინელებს ტერიტორიულ მიღწევებს, რომლის იმედიც ყველას გვაქვს, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს მოკავშირეების გზავნილი მინისტერიალზე, ასევე, როდესაც ჩვენ შევიკრიბებით მოგვიანებით ვაშინგტონის სამიტზე, არის ის, რომ ჩვენ უნდა დავდგეთ უკრაინის გვერდით. ჩვენი უსაფრთხოების ინტერესია, რომ პრეზიდენტმა პუტინმა არ მოიგოს ეს ომი“,** – განაცხადა სტოლტენბერგმა.

## ვიქტორ ორბანი:
# უკრაინელები ბრძოლის ველზე ვერ გაიმარჯვებენ



**უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი აცხადებს, რომ უკრაინელები ბრძოლის ველზე ვერ გაიმარჯვებენ,** – ვიქტორ ორბანის განცხადებას მისი ოფისის პრესსპიკერი ზოლტან კოვაჩსი სოციალურ ქსელ X-ში ავრცელებს. გავრცელებულ ვიდეოში ვიქტორ ორბანი ამბობს, რომ დასავლეთის სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ უკრაინელები გაიმარჯვებდნენ ბრძოლის ველზე, რუსების დამარცხება კი მოსკოვში პოლიტიკურ ხელმძღვანელობის შეცვლას გამოიწვევდა, თუმცა მისი თქმით, ეს ასე არ მოხდება.

**„უდავოა, რომ აგრესია არის აგრესია. საერთაშორისო სამართლის დარღვევა არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა და ჩვენთვის ეს მიუღებელია. ამაზე ზედმეტად ბევრს არ ვისაუბრებ, რადგან ეს ცალსახაა, თუმცა კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ როგორი რეაგირება მოვახდინოთ ამაზე ჩვენ, ევროპელებმა? ჩვენ ეს შესაბამისად არ გაგვიკეთებია. მე მახსოვს, როდესაც ანალოგიური კრიზისი მოხდა ყირიმთან დაკავშირებით, მაშინ ევროპულ საბჭოში მე ასევე ვიყავი მოლაპარაკებების მაგიდასთან, ჩვენ ერთად ვთქვით, რომ უნდა მოვახდინოთ კონფლიქტის ლოკალიზება და იზოლირება. ჩვენ გავგზავნეთ გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერები მოლაპარაკებების გასამართად და მივაღწიეთ მინსკის შეთანხმებას, რომელსაც არ გადაუჭრია, თუმცა გარკვეულწილად გაუმკლავდა სიტუაციას. დღესდღეობით, როდესაც ეს დონეცკის კონფლიქტი გაჩაღდა, ჩვენი პასუხი იყო საპირისპირო – კონფლიქტის გლობალიზაცია, არა ლოკალიზაცია, არამედ მისი ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია. ახლა ეს საკითხი არის გლობალური. ვფიქრობ, რომ ეს ცუდია ყველასთვის – ევროპისთვის, უკრაინელებისთვის, რუსებისთვის. როდესაც ამ ომზე ვსაუბრობთ, უნდა გვესმოდეს, სად ვართ, რა იყო ამ ომში დასავლეთის სტრატეგია.**

**ჩვენი სტრატეგია იყო, რომ უკრაინელები იბრძოლებდნენ და გაიმარჯვებდნენ ბრძოლის ველზე, რუსები დამარცხდებოდნენ და ეს მარცხი გამოიწვევდა ცვლილებებს მოსკოვში, იქნებოდა ახალი ხელმძღვანელობა და ჩვენ მოლაპარაკებებს შევძლებდით, პუტინი არის სამხედრო დამნაშავე და ახალი ხელმძღვანელობა იქნებოდა მისაღები პარტნიორი ევროკავშირთან მოლაპარაკებებისთვის. ასეთი იყო სტრატეგია. ჩვენ ვაფინანსებთ, უკრაინელები იბრძვიან და იხოცებიან. სად ვართ ახლა, აშკარაა, რომ უკრაინელები არ გაიმარჯვებენ ბრძოლის ველზე. ბრძოლის ველზე გამოსავალი არ არის. რუსები არ დამარცხდებიან. მოსკოვში არ მოხდება პოლიტიკური ცვლილება. ეს არის რეალობა“,** – აცხადებს **ვიქტორ ორბანი.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნოდარ ჯინჭველაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.
აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნოდარ ჯინჭველაძე (პ/ნ 47001009025), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4, ბლოკი „გ“, ბინა 69
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №4 (საკადასტრო კოდი: 01.17.13.041.010.03.069)
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1972832.83 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 ნოემბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94403623;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 944036
6. **მოვალე:** შპს „თელავღვინო“ (ს/ნ 231254898), თელავი, ალაზნის გამზ. №30;
ინგა საქუაშვილი (პ/ნ 20001066937), თელავი, ალაზნის გამზ. №36 „ა“, ბინა №6;
მათე საქუაშვილი (პ/ნ 20101071173), თელავი, სოფელი ფშაველი;
ნანა საქუაშვილი (პ/ნ 01005007333), თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქუჩა №6, ბინა №35;
ნინო საქუაშვილი (პ/ნ 20001011189), თელავი, ალაზნის გამზ. №36 „ა“, ბინა №6;
ქეთევან ჯინჭველაძე (პ/ნ 47001008778), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4;
ქრისტინა საქუაშვილი (პ/ნ 20001067319), თელავი, სოფელი ფშაველი;
ნოდარ ჯინჭველაძე (პ/ნ 47001009025), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4, ბლოკი „გ“, ბინა 69;
შპს „ერეკლე მეორე“ (ს/ნ 431175934), თელავი, სოფელი ნაფარეული, მე-14 ქ. №5;
შპს „სანავარდო“ (ს/ნ 424252114), ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №51;
გიორგი ჯინჭველაძე (პ/ნ 47001014698), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4, ბლოკი „გ“, ბინა 69;
ლევან ჩხიკვაძე (პ/ნ 21001036843), თერჯოლა, თბილისის ქუჩა №12.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94403623; ლოტის ნომერი: 944036).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 დეკემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რევაზ დემეტრაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რევაზ დემეტრაძე (პ/ნ 03001004398), ადიგენი, ს. ვარხანი, პირველი ქ. №31
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ადიგენი, სოფელი ვარხანი (საკადასტრო კოდი: 61.12.23.280)
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 47491.51 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 ნოემბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 დეკემბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94403923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 944039
6. **მოვალე:** რევაზ დემეტრაძე (პ/ნ 03001004398), ადიგენი, ს. ვარხანი, პირველი ქ. №31.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94403923; ლოტის ნომერი: 944039).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 დეკემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვიტალი ქათამაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე:** ვიტალი ქათამაძე (პ/ნ 61006056680), წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58 (საკადასტრო კოდი: 85.19.25.199 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24477.09 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 ნოემბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94406223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 944062
6. **მოვალე:** ხათუნა კახაძე (პ/ნ 61009027122), წალკა, ს. ხარება, პირველი ქუჩა №58.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17თ 1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94406223; ლოტის ნომერი: 944062).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 დეკემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ინგა სვანიძის, მედეია სვანიძის, დავით სვანიძის და მერი სვანიძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე:** ინგა სვანიძე (პ/ნ 53001005992), მედეია სვანიძე (პ/ნ 53001014971), დავით სვანიძე (პ/ნ 53001017212), მერი სვანიძე (პ/ნ 53001027747), წყალტუბო, სოფელი ზარათი, მე-2 ქუჩის I ჩიხი №4
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი ზარათი, მე-2 ქუჩის I ჩიხი №4 (საკადასტრო კოდი: 29.06.31.191)
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 55394.23 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 ნოემბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 დეკემბერი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94404723;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 944047
6. **მოვალე:** ლია ხრისტოდულუ (პ/ნ 60001013186), ქუთაისი, ირაკლი ჯანელიძის 35.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94404723; ლოტის ნომერი: 944047).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 დეკემბრის 12:00 საათამდე.



◉ შესანიშნავი

## ერთი მსახიობის თეატრი

**საქართველოს უმაღლესი რანგის ოფიციალური ტურნირების მასპინძლობის პატივი არასდროს დაჰკლებია, მაგრამ ის ფორუმი, რომელსაც 2025 წელს მიიღებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესად ერთადერთი სპორტსმენის დამსახურებაა (ეს ინფორმაცია უკვე მოგაწოდეთ).**

საუბარია მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატსა და გამოჩენილ ჭვაროსან **სანდრო ბაზაძეზე,** ვინც ჯადოსნური ხმლით სეზონის საუკეთესო მუშკეტერობა მოიპოვა, რაც მის თანამემამულეთაგან აქამდე არავის ღირსებია.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ფედერაციის რჩეულმა წლეულს ზედიზედ მეორედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი და ყველას აჯობა როგორც კონტინენტის სპორტულ თამაშებში, ისე მსოფლიოს თასზე, ხოლო პლანეტის პირველობაზე მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო და ვერცხლი მოიხვეჭა. აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ ეტაპებზე დაგროვებულ უამრავ ქულაზე, რომელმაც რეიტინგის დამაჯერებელი ლიდერობა მოუტანა.

◉ პროგრესი

## შეუქცევადი პროცესი



**ქართველ ფრენბურთელ მანდილოსანთა შარშანდელმა წარმატებამ, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება პირველად დაიმსახურეს და ელიტაში სტარტი ხორვატებთან სენსაციური გამარჯვებით აღნიშნეს, მთელი სპორტული სამყარო გააკვირვა, მაგრამ ამ დღეებში ნაჩვენებმა საპატიო შედეგმა ყველას დაუმტკიცა, რომ ჭვაროსანთა პროგრესი შეუქცევად პროცესშია გადაზრდილი და გაგრძელება აუცილებლად იქნება.**

საუბარია კონტინენტის გოგონათა ახალგაზრდული ფორუმის საკვალიფიკაციო რაუნდში ესტონეთის, ლიეტუვისა და აზერბაიჯანის გუნდებთან მოგებულ სამ შეხვედრაზე, რამაც ჩვენი ქვეყნის ნაკრებს თანატოლებთან მორიგ შესარჩევ ეტაპზე გამკლავების შესაძლებლობა მისცა. ვიმედოვნებთ, ისინი არც მომავალი წლის ბატალიებში შეირცხვენენ თავს, მით უმეტეს, რომ უკვე საკმაოდ ძვირფასი გამოცდილება უმაგრებთ ზურგს და მეტოქის ფსიქოლოგიური კომპლექსიც დაძლიეს.

◉ სეზონის გვირგვინი

## მეტოქეები ცნობილია

**პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის წილისყრამდე ქართველმა ლეგიონერებმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინეს საერთაშორისო სარბიელზე, რაც ოპტიმიზმს გვმატებს, რომ სავსებით საფუძვლიანი ამბიცია გაგვაჩნია, მორიგი ისტორიული წარმატება ვიზეიმოთ და წლევანდელი მუნდიალის მსგავსად, პირველად მოვიპოვოთ ფრანგული ფორუმის საგზური.**

განსაკუთრებით გვახარებს **გოგა ბითაძის** პროგრესი, რომელმაც როგორც იქნა, ნბა-ში საკუთარ კლუბს მიაგნო და მწვრთნელის გამოცხადებულ ნდობას სტაბილური ნაყოფიერი თამაშით პასუხობს.

ამჯერად ორლანდომ ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა შინ შარლოტს 130:117 მოუგო და საკუთარ კონფერენციაში მე-2 ადგილს შარშანდელ ტრიუმფატორ მილუოკისთან იყოფს, ჩვენმა თანამემამულემ კი 20 წუთში თავი 11 ქულას, 7 მოხსნასა და 3 შედეგიან გადაცემას მოუყარა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი უქმეები ჰქონდა ტენერიფეს უზერებელ ლიდერ **გიორგი შერმადინს,** რომელმაც გასვლაზე გრან კანარიასთან დამატებით დროში მოგებულ კუნძულელთა დერბიში – 94:82 (72:72) ყველა ტყორცნა ზუსტად შეასრულა (9-დან 9 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო!) და პარტნიორებს 24 ქულა შეაშველა, სარგებლიანობის კოეფიციენტმა კი 32-ს უწია. ამ გამარჯვებით ლენოვოს ბალანსი 6:5 გახდა, რამაც საპლეიოფო ზონაში მეექვსე ადგილი განუმტკიცა.

მოულოდნელად წაიფორხილა ვენეციასთან ერთად იტალიის სერია – ა-ს წამყვანი პოზიციის ბინადარმა ვირტუსმა, რომელიც სტუმრად ბრინდიზისთან დამარცხდა – 75:83. გუნდის ჩავარდნის მიუხედავად, ბოლონიელთა ქართველმა ვარსკვლავმა **თორნიკე შენგელიამ** ამჯერადაც საკადრისი პირადი მონაგრით – თითქმის ორმაგი დუბლით დაამტკიცა, რომ შესანიშნავი კონდიციები აქვს აკრეფილი – 14 ქულა და 9 მოხსნა. აღსანიშნავია, რომ ვირტუსი მეორე ფრონტზე – ევროლიგაშიც წარმატებით იბრძვის, ასე რომ, ცალკეული უიღბლობები გამორიცხული არაა.




რაც შეეხება წერილის შესავალში ნახსენებ წილისყრას, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გაგვიმართლა, რაშიც ჩვენი და კონკურენტი ჯგუფების შემადგენლობები დაგარწმუნებთ, რომლებიც გაისად 2-7 ივლისს რიგაში შეიკრიბებიან:

**„ა“ ჯგუფი** – ლატვია, საქართველო, ფილიპინები.

**„ბ“ ჯგუფი** – ბრაზილია, მონტენეგრო, კამერუნი.

შეგახსენებთ, რომ თითოეულიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი ჯვარედინი სისტემით ნახევარფინალურ პლეი-ოფში დაწყვილდება, მათი გამარჯვებულნი კი ლატვიის დედაქალაქშივე ფინალურ მატჩში ოლიმპიადის სანუკვარ საგზურს გაითამაშებენ.

დანარჩენი ჯგუფები ასეთი შემადგენლობით დაკომპლექტდა.

ვალენსია, ესპანეთი

**„ა“ ჯგუფი** – ლიბანი, ანგოლა, ესპანეთი.

**„ბ“ ჯგუფი** – ფინეთი, პოლონეთი, ბაჰრეინი.

პირეოსი, საბერძნეთი

**„ა“ ჯგუფი** – სლოვენია, ახალი ზელანდია, ხორვატეთი.

**„ბ“ ჯგუფი** – ეგვიპტე, საბერძნეთი, დომინიკა.

სან ხუანი, პუერტო რიკო

**„ა“ ჯგუფი** – მექსიკა, კოტ დივუარი, ლიეტუვა.

**„ბ“ ჯგუფი** – იტალია, პუერტო რიკო, სუდანი.

◉ „სარბიელის“ რჩეულნი

## კვარაც, მანოც...

**„სარბიელის“ პირმშო – სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის გამოსავლენი გამოკითხვა 1992 წლიდან ტარდება და მისი პირველი ლაურეატი გიორგი ქინქლაძე გახდა, გამარჯვებათა რაოდენობით კი რეკორდსმენები შოთა არველაძე და კახა კალაძე არიან.**

წლეულს საკუთარი არჩევანი 85-მა ჟურნალისტმა გააკეთა და მათგან 84-მა უპირატესობა **ხვიჩა კვარაცხელიას** მიანიჭა, რაც აბსოლუტურად საუკეთესო შედეგია. რჩეულისთვის განკუთვნილი პრიზი მის მამას – ბადრი კვარაცხელიას გადაეცა, რადგან მისი საამაყო შვილი ესპანეთში იმყოფება, სადაც დღეს ნაპოლის მაისურით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს ოცნების კლუბის – მადრიდის რეალის წინააღმდეგ. მანამდე კი...



გასულ უქმეებზე იტალიის მოქმედმა გვირგვინოსანმა ბერგამოში სერია – ა-ს მე-13 ტურში ლიდერთა ჯგუფში უახლოესი მეზობელი ატალანტა დაამარცხა – 2:1 და გუნდის ახალი თავკაცის – ვალტერ მაძარის დაბრუნება კამპანიელთა ქართველმა ლეგიონერმა ზუსტი თავური დარტყმით აღნიშნა, გამარჯვების გოლი კი თამაშში მეორე ნახევარში ჩაბმული ახალგამოჯანმრთელებული ოსიმენისა და ელმასის კომბინაციას მოჰყვა, თუმცა, მოდით, ისევ თბილისში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე შევჩერდეთ.

ამჯერად პირველად გამოცხადდა ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის სპეციალური პრიზის მფლობელის ვინაობა და ეს პატივი ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დიდ კაპიტანს – **მანუჩარ მაჩაიძეს** ხვდა წილად.

ტრადიციისამებრ, აღნიშნულ ღონისძიებას სამაგალითოდ უმასპინძლა ლუდის ბარმა „ბირთაიმმა“, რისთვისაც მისი თითოეული თანამშრომელი მადლიერებას იმსახურებს.

შეგახსენებთ, რომ ახლო წარსულში ცალკე ვლინდებოდა კრისტალზეთ ეროვნული ლიგის საუკეთესო მოთამაშე, მაგრამ უკანასკნელ წლებში ეს ნომინაცია გაუქმდა. **ცნობისთვის: ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონი მეორედ გახდა ბათუმის დინამო. ვულოცავთ!**

## — ორიოდე სიტყვით —

### ჭადრაკი

**ბუდვა (მონტენეგრო).** ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ქალთა ტურნირი. საქართველო – მე-10 ადგილი. **ოქრო** – მერი არაბიძე (მე-3 დაფა) **ბრინჯაო** – სალომე მელია (მე-5 დაფა). ვაჟთა ტურნირი. საქართველო – მე-11 ადგილი. **ოქრო** – ბაადურ ჯობავა (მე-3 დაფა).

### რაგბი



**საქართველოს დიდი ათის ჩემპიონატი.** სატურნირო მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ: ლელო – 34 ქულა, აია – 31, ბათუმი – 29, ყოჩები – 27, არესი, ხვამლი – 23-23, ყაზბეგი – 20, ხარები – 18, არწივები – 6, აკადემია – 0 ქულა.

დავძენთ, რომ 9 დეკემბერს პირველი ქართული ფრანჩაიზი შავი ლომი პოპულარული ევროტურნირის ჩელენჯ კაპის სადებიუტო ისტორიულ შეხვედრას ვაკის მიხეილ მესხის სტადიონზე ინგლისურ გლოსტერთან გამართავს.

### ძიუდო

**ტოკიო.** 2-3 დეკემბერი. წლის დასკვნითი იაპონიის გრანდ სლემი. საქართველოს ნაკრები ძიუდოს სამშობლოში უძლიერესი შემადგენლობით უნდა გამოსულიყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გუნდს ტატო გრიგალაშვილი გამოაკლდა, რომელიც 9-10 დეკემბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის ტატამზე ევროპის საკლუბო ჩემპიონატში, იგივე ჩემპიონთა ლიგაში ფრანგული პარი სენ-ჟერმენის შემადგენლობაში იჭიდავებს ისევე, როგორც ლაშა შავდათუაშვილი და ლაშა ბექაური. შეგახსენებთ, რომ შარშან გორში გამართული მსგავსი პრესტიჟული ტურნირი თბილისის მებრძოლმა მოიგო, ხოლო მესამე პრიზიორი გოლდენ გორი გახდა.

# ფაზისის აკადემიის განცხადება

ფაზისის აკადემია (ს/კ 415105585) არის საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება.

ფაზისის აკადემია – ქართული განათლებისა და სულიერების უძველესი კერა – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია კოლხეთის რიტორიკული სკოლის, იმავე კოლხეთის აკადემიის სამართალმემკვიდრედ და ტრადიციების გამგრძელებლად.

ბერძნული წერილობითი ძეგლის მიხედვით, ფაზისის აკადემიას – „მუზების ტაძარს" საფუძველი ჩაეყარა 1750 წლის წინ ფაზისში, ახლანდელი ფოთის მახლობლად.

1974 წლის 29 ივნისს ფაზისის აკადემია აღადგინეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. ილია ვეკუამ, საქართველოს კულტურის მინისტრმა, პროფ. ოთარ თაქთაქიშვილმა, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" პრეზიდუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პროფ. დამიანე გოგოხიამ, საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარემ, აკად. გიორგი ჩიტაიამ, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა, აკადემიკოსებმა ეგნატე ფიფიამ, შალვა ამირანაშვილმა, ანდრია აფაქიძემ და სხვებმა ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ფაზისის აკადემია აგრძელებს მისი დამფუძნებლებისა და პირველი რექტორის, აკად. გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო გზას, უფრთხილდება მის ავტორიტეტს და ქართულ სამეცნიერო ფასეულობებს.

ფაზისის აკადემიას და მის წევრებს არანაირი კავშირი არ აქვს 2022 წლის 27 ივლისს რეგისტრირებულ „საქართველო, კოლხეთის (ფაზისის) საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიასთან" (ს/კ 400339647), რომელიც გასცემს ე.წ. აკადემიკოსის „ოქროს დიპლომებს" და ჩრდილს აყენებს ქართული მეცნიერების ტაძარს, ერის სახელოვან შვილებს, ფაზისის აკადემიის დამფუძნებლებს!

**ფაზისის აკადემიის გამგეობა**

სანთელი

## დავით თარხან-მოურავის ვაჟი 35 წლის ასაკში გარდაიცვალა



**„პატრიოტთა ალიანსის" დამფუძნებლის დავით თარხან-მოურავის ვაჟი იორამ თარხან-მოურავი 35 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა.**

ამის შესახებ ინფორმაციას **ირმა ინაშვილი** ავრცელებს.

„ხელი მიკანკალებს, ამას რომ ვწერ, მაგრამ იმდენი ადამიანი მიკავშირდება, გადავწყვიტე, დავწერო. მოულოდნელად გარდაიცვალა დავით თარხან-მოურავის ვაჟი იორამ თარხან-მოურავი. უკარგესი ადამიანი.

უწესიერესი, უბოროტო და ღირსეული ბიჭი. იორამი 35 წლის იყო. გარდაცვალების მიზეზი გულის ანევრიზმაა. მომავალ კვირაში ოპერაცია ჰქონდა დაგეგმილი. იორამი ცხოვრობდა საზღვარგარეთ და ჯერ ზუსტად ვერ ვწერ, როდის ჩამოვასვენებთ, სად დავასვენებთ და როდის იქნება პანაშვიდი და გასვენება.

ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო... ჩვენი შვილები უნდა წერდნენ ჩვენი გარდაცვალების შესახებ და მე ვწერ... აღარ მესმის არაფერი... რატომ..." – წერს **ირმა ინაშვილი**.

**„რეპორტიორის" და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციები მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარის გამო და უსამძიმრებენ იორამ თარხან-მოურავის ოჯახს და ახლობლებს.**

## საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი ექიმები საქართველოში საქმიანობას გამარტივებული წესებით შეძლებენ

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ექიმები, საქართველოში, პროფესიულ საქმიანობას გამარტივებული წესებით შეძლებენ.



**„ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ექიმებს, რომლებსაც შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და საექიმო საქმიანობის ნებართვა აქვთ, სამშობლოში, პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას ავტომატურად, ზედმეტი ბიუროკრატიისა და ბარიერების გარეშე, ნებისმიერ დროს შეძლებენ. მათ მიერ, მხოლოდ საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენაა საჭირო, რის შემდეგაც პროაქტიურად მიენიჭებათ სახელმწიფო საექიმო საქმიანობის სერტიფიკატი.**

**გამარტივებული წესით, აშშ-ში, ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში, ასევე – კანადაში, ავსტრალიაში, ისლანდიაში, ისრაელში, თურქეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ახალ ზელანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ლიხტენშტაინსა და სამხრეთ აფრიკაში მოღვაწე ქართველი ექიმები ისარგებლებენ",** – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

## ღვინის სამშობლო წარმოგიდგენთ!..

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სპეციალურად ამერიკული ტელეკომპანია CNN-ისთვის ქართული ღვინის შესახებ ვიდეორგოლი მომზადდა**



**ვიდეორგოლის „ღვინის სამშობლო წარმოგიდგენთ" პრეზენტაცია თბილისში გაიმართა და მას საქართველოს მთავრობის, მეღვინეობის დარგის, არასამთავრობო სექტორის, სამეცნიერო და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და ვეტერანი მეღვინეები დაესწრნენ.**

პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს სიტყვით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ შამუგიამ** მიმართა.

**„ქართული ღვინის პოპულარიზაცია ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რაზეც უკვე წლებია აქტიურად ვმუშაობთ – ვახორციელებთ შესაბამის ღონისძიებებს პრიორიტეტულ ბაზრებზე. ჯერ კიდევ 2014 წელს დავიწყეთ ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. 2017 წელს, კვლევის შედეგებმა დაადასტურა და მსოფლიო საზოგადოებამ გაიგო, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო, ღვინის წარმოების რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორიით",** – აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

ვიდეორგოლს CNN-ის ეთერით, ერთი თვის განმავლობაში, ათეულ მილიონობით ადამიანი ნახავს.

ღონისძიებაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ლევან მეხუზლამ** ქართული ღვინის მარკეტინგულ გეგმებზე ისაუბრა.

**„ამერიკელი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის წინაშე საქართველოს, როგორც უძველესი მეღვინეობის კულტურისა და ისტორიის, ასევე თანამედროვე მრავალფეროვანი და უნიკალური მეღვინეობის ინდუსტრიის მქონე ქვეყნის შესახებ CNN-ის ეთერში ვიდეორგოლის განთავსება მიზნად ისახავს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას და მისი, როგორც კატეგორიის ჩამოყალიბებას. ამ კუთხით, ჩვენ კიდევ ბევრი გეგმა გვაქვს; შესაბამისად, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებები უფრო მასშტაბური გახდება",** – განაცხადა **ლევან მეხუზლამ.**

ქართული ღვინის საიმიჯო ვიდეორგოლის ეთერში განთავსებაზე ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მოლაპარაკებები ტელეკომპანია CNN-თან მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყო.

ვიდეორგოლი, რომლის ხანგრძლივობა 30 წამია, ერთი თვის განმავლობაში, დღეში 6-ჯერ, CNN international-ზე განთავსდება. არხი მსოფლიოს 200 ქვეყანაში მაუწყებლობს; ვიდეორგოლი დღეში 3-ჯერ გაიშვება CNN North America-ის ეთერშიც. CNN-თან თანამშრომლობა ასევე მოიცავს ონლაინ კამპანიას, რაც გულისხმობს, ერთი თვის განმავლობაში, CNN-ის ოფიციალურ გვერდზე: https://edition.cnn.com/travel, ქართული ღვინის შესახებ სტატიების გამოქვეყნებას.

## ძლიერმა შტორმმა ფოთში სანაპირო ზოლი დააზიანა

**ძლიერმა შტორმმა ფოთში სანაპირო ზოლი და ინფრასტრუქტურა დააზიანა. დაიტბორა ბულვარის მიმდებარე ქუჩები. ადგილზე მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური. სანაპირო ზოლზე მუშაობს მძიმე ტექნიკა.**

ძლიერმა ქარმა მრავალბინიანი კორპუსის სახურავიც დააზიანა, უკვე მოხდა დროებითი გადახურვის მონტაჟი. გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოები ფოთში გრძელდება, ზარალის ოდენობა ჯერ უცნობია.



**თორნიკე რიჟვაძე:**

## ზარალი დიდია, დაზარალებულთ დავეხმარებით!

**აჭარაში ძლიერი შტორმის შედეგად მიყენებულ ზარალს აჭარის მთავრობის სპეციალური კომისია შეისწავლის.** თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, ბათუმისა და ქობულეთის სანაპიროზე დაზარალებულ ყველა მეწარმეს შესაბამის დახმარებას გაუწევენ.

**„გუშინ ძლიერმა შტორმმა და უამინდობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბათუმისა და ქობულეთის სანაპიროებს, ბულვარს. მინდა, ვთხოვო და დავავალო ყველა უწყებას, სამსახურს, მაქსიმალურად დროულად მოხდეს გაწმენდა და ყველა სალიკვიდაციო სამუშაო დროულად დასრულდეს. ასევე, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა მუდმივმოქმედმა კომისიებმა დროულად შეისწავლონ ზარალი. ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავუჭიროთ მხარი და დახმარება აღმოვუჩინოთ ყველა კერძო პირს თუ მეწარმეს, რომელიც აღნიშნული მოვლენებით დაზარალდა",** – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

**გუშინ ბათუმსა და ქობულეთში ზღვამ საპლაჟე ინფრასტრუქტურა დააზიანა, წაქცეულია განათების ბოძები, დანგრეულია პრომინადების ნაწილი, ზარალი მიადგა ცალკეულ კომერციულ ობიექტებს. აჭარის სანაპიროზე შტორმის სიმძლავრემ 28 ნოემბერს დაიკლო, თუმცა ტალღების სიმაღლე კვლავ ხუთ ბალს აღწევდა. სინოპტიკოსების ვარაუდით, შტორმის სიძლიერე დღეიდან შემცირდება.**

# არ ჭამოთ ჟელიბონი და ჩიფსები, ბავშვებო!




**სკოლის ბუფეტებში შოკოლადის, ჩიფსების, კანფეტებისა და სხვა არაჯანსაღი საკვების გაყიდვა აიკრძალა.**

24 ნოემბერს გამოქვეყნებული ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“.

**ბრძანება განსაზღვრავს აკრძალულ მზა პროდუქტებს:**

საღეჭი რეზინი, კანფეტები, შოკოლადი, არომატიზებული წასახემსებლები (მაგ.: ჩიფსები, ჟელიბონი და სხვა); მარილიანი, შაქრიანი ან ცხიმით დამუშავებული თხილეული, ხილი და ბოსტნეული; მაიონეზი და მაიონეზით შეზავებული პროდუქტები; დაკონსერვებული პროდუქტები; თერმულად დაუმუშავებელი კვერცხი; სოკო ნებისმიერი ფორმით; კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი;ტკბილი გაზიანი სასმელები; ყავა.

სამინისტროს ცნობით, სურსათის უვნებლობის სამსახურის გარდა, სკოლის კვების ობიექტს მონიტორინგს გაუწევს სკოლის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მოსწავლეებით, მშობლებით, მასწავლებლებით (სასურველია ბიოლოგიის), სკოლის ექიმი/ექთნითა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებით.

**ბრძანება 24 ნოემბერსვე შევიდა ძალაში.**

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოქტომბრის დასაწყისში განაცხადა, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის სკოლაში 9 მოსწავლე საკვებით მოიწამლა, რისი მიზეზიც გახდა სკოლის ბუფეტში ნაყიდი ნამცხვარი. სააგენტოს მიერ ჩატარებულმა მიკრობიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ დონატებში, რომლებიც სკოლაში იყიდებოდა, ობის სოკოების ნორმა მნიშვნელოვნად აღემატებოდა დასაშვებ ზღვარს.



# მეხუთე რომანმა ბუკერის პრემია მოუტანა

**2023 წლის ბუკერის პრემია ირლანდიელ მწერალს, პოლ ლინჩს გადაეცა.** პრესტიჟული ჯილდო მან თავისი მეხუთე რომანისთვის „წინასწარმეტყველის სიმღერა“ მოიპოვა. დაჯილდოების ცერემონია ლონდონში გაიმართა.

**„ამ წიგნის დაწერა მარტივი არ იყო. ჩემი რაციონალური ნაწილი მიიჩნევდა, რომ მე ჩემს კარიერას ვწირავ, თუმცა მაინც მომიხდა ამ რომანის დაწერა. ასეთ შემთხვევებში არჩევანი არ არსებობს“,** – განაცხადა ავტორმა პრემიის მიღების შემდეგ. ბუკერის პრემია ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა მსოფლიოში, ინგლისურენოვან ლიტერატურაში. ენიჭება ავტორს, რომელიც თანამეგობრობის ქვეყნების ან ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეა, ინგლისურ ენაზე დაწერილი რომანისთვის.

# სკვითური ოქრო უკრაინაში დაბრუნდა



**უკრაინაში ნიდერლანდებიდან სკვითური ოქროს კოლექცია დაბრუნდა. ოქროს ნამუშევრები უკვე მიიტანეს კიევ-პეჩერის ლავრაში. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ უკრაინის საბაჟო სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.**

უწყების ცნობით, უკრაინაში შეიტანეს 2 694 კილოგრამი კულტურული ძვირფასეულობა. საბაჟო სამსახური ნივთების იდენტიფიცირებას და გაფორმებას აწარმოებს. სკვითური ოქროს კოლექცია ნიდერლანდებში ყირიმიდან ნახევარკუნძულის ანექსიამდე გამოფენისთვის გაიტანეს. კოლექცია 500-ზე მეტი ექსპონატისგან შედგება. რუსეთის მიერ ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ სადავო გახდა, ვისთვის უნდა გადაეცათ ექსპონატები – ოკუპირებულ ყირიმში მდებარე მუზეუმებისთვის თუ უკრაინის ხელისუფლებისთვის. ამსტერდამის სასამართლოში მრავალწლიანი დავის შემდეგ დადგინდა, რომ „სკვითური ოქრო“ უკრაინისთვის უნდა გადაცემულიყო.

# ჰამასი მძლევლებს ნელ-ნელა ათავისუფლებს

**აშშ ისრაელსა და „ჰამასს“ შორის მძევლების გათავისუფლების შეთანხმების კიდევ ორი დღით გახანგრძლივებას ეხმაურება.**

როგორც თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების სპიკერი ჯონ კირბი აცხადებს, მომდევნო ორი დღის განმავლობაში „ჰამასმა“ აიღო ვალდებულება, გაათავისუფლოს კიდევ 20 მძევალი, რომელთა შორის არიან ქალები და ბავშვები. კირბიმ ასევე თქვა, რომ დარჩენილი მძევლებიდან რვა-ცხრა ამერიკელია და იმედოვნებს, რომ გათავისუფლებულ მძევლებს შორის ამერიკელებიც იქნებიან.




# გასტრონომიული ფორუმი ბათუმში

**3-5 დეკემბერს, ბათუმი პირველ საერთაშორისო გასტრონომიულ ფორუმს „გასტრო ბათუმი“ უმასპინძლებს. სამი დღის განმავლობაში, მიშლენის ვარსკვლავის მქონე რესტორნების ფრანგი, ბელგიელი, ლატვიელი შეფები, რესტორატორები თურქ და ქართველ სპიკერებთან ერთად გასტრონომიული ტურიზმის ტენდენციებსა და გამოწვევებზე ისაუბრებენ, ადგილობრივი შეფებისთვის კი კერძების მომზადების მასტერკლასებს ჩაატარებენ.**

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი პირველ გასტრონომიულ ფორუმს „გასტრო ბათუმი“ რეგიონში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით ატარებს.




ფორუმი ისეთ მნიშვნელოვან თემებს დაეთმობა, როგორიცაა განათლების როლი გასტრონომიის განვითარებაში, კულინარიული ექსპერიმენტები შეფებისგან და ავთენტური კერძების პოპულარიზება, გასტრონომიის როლი და განვითარება კურორტებსა და რეზორტებში, გასტრონომიული კონფერენციების, კულინარიული შეჯიბრების შედეგები და მნიშვნელობა, ბასკეთის მაგალითი „როგორ შეიძლება იქცეს რეგიონი გასტრონომიის მექად“, უძველესი ქართული გასტრონომიული კულტურა და სხვა. დაგეგმილია კულინარიულ მასტერკლასები, სადაც უცხოელი შეფები ადგილობრივი შეფ-მზარეულებისთვის თევზის, ხორცისა და სოუსების მომზადების მასტერკლასებს ჩაატარებენ. ასევე იგეგმება ვიდეორეცეპტების მომზადება.

# სისხლიანი ქორწილი - სიძემ ქორწილში პატარძალი მოკლა და თავი მოიკლა

**ტაილანდში პარა ათლეტმა, ყოფილმა სამხედრომ თავის ქორწილში პატარძალი და სამი ადამიანი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. 29 წლის ჩატურონგ სუკსული და 44 წლის კანჩანა პაჩუნტუეკი ტაილანდში რამდენიმე დღის წინ დაქორწინდნენ. თვითმხილველების თქმით, სიძემ ქორწილი დატოვა, რის შემდეგაც იარაღით დაბრუნდა თავის ცოლს, 62 წლის სიდედრსა და 38 წლის ცოლის დას ესროლა.**



მის მიერ გასროლილი რამდენიმე ბრმა ტყვია კი ქორწილის ორ სტუმარს მოხვდა, რომლებიც კლინიკაში გადაიყვანეს. მათ შორის ერთი დაიღუპა. როგორც პოლიციამ განაცხადა, 29 წლის ჩატურონგი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მომხდარის მოტივი უცნობია. მათივე თქმით, მამაკაცმა იარაღი ერთი წლის წინ შეიძინა. ქორწილის სტუმრების თქმით, წყვილს ქორწილში უთანხმოება მოუვიდათ. მათი ინფორმაციით, ჩატურონგს თავის და მის ცოლს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა აწუხებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქორწილამდე წყვილი ერთად 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 1 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7128; ევრო - 2.9594;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4081;
100 რუბლი - 3.0518; თურქული ლირა - 0.0939;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5958;
1000 სომხური დრამი - 6.7629

**ამინდი 29 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –3, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –10, | დღე +7 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –1, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –8, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე | –1, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge